645
1968



# საქართველოს ქალი

აპრილი
№ 4 1968 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კოსმოსი. მოზაიკა. ავტორები: მხატვარი ლ. შენგელია, კერამიკოსები ა. მიქაძე და ა. გარამიძე, არქიტექტორი ი. კახიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი

რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პ. ვ ა ს ი ლ ე ვ ი ს ნახატი.

საკდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინი პარიზში

ს. ი. გოპნერი

1910 წლის ზაფხულის ბოლოს, ოდესაში და ეკატერინოსლავში „ჩავარდნების“ შემდეგ, ჩემთვის შეუძლებელი შეიქნა სამშობლოში არალეგალური პარტიული მუშაობის გაგრძელება და იძულებული გავხდი რუსეთი დამეტოვებინა. პოლიციას ვაჯობე ეშმაკობაში, მივიღე საზღვარგარეთული პასპორტი და სექტემბერში პარიზში აღმოვჩნდი.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, პარიზი პოლიტიკური ემიგრაციის ერთერთ ყველაზე მსხვილ ცენტრს წარმოადგენდა. აქ ჩამოდიოდნენ მეფის რუსეთის საპყრობილეებიდან და კატორღებიდან გამოქცეული რევოლუციონერები.

იმ წლებში ვლადიმერ ილიას ძე ლენინიც პარიზში ცხოვრობდა. მასთან შეხვედრა ოცნებად მქონდა გადაქცეული, თან ვყოყმანობდი: მეჩვენებოდა, რომ თვით ლენინისათვის არ იქნებოდა საინტერესო ჩემთან შეხვედრა, შემეძლო კი რაიმე ახალი მეცნობებინა მისთვის?

ეს ეჭვი გამიქარწყლა ერთმა ამხანაგმა, რომელსაც ქუჩაში შევეყარე პარიზში ჩასვლის მეორე დღეს. იგი აღშფოთდა: შენ რა გესმის, ნატაშა (ნატაშა ჩემი არალეგალური მეტსახელი იყო), ლენინისათვის რუსეთიდან ყოველი ახალჩამოსული ადამიანი იგივეა, რაც საჭმელი მშიერისათვისო. მოგვიანებით მართლაც დავრწმუნდი მისი ნათქვამის სისწორეში. ლენინისათვის რუსეთიდან ახლადჩამოსული ადამიანი იყო ინფორმაციის წყარო სამშობლოში არსებული ვითარებისა. იმყოფებოდა რა სამშობლოდან შორს, ლენინი უამრავ რუსულ გაზეთებსა და ჟურნალებს კითხულობდა, საქმიან მიმოწერას აწარმოებდა პარტიულ ამხანაგებთან. აი რას ამბობდა ი. ბ. სტალინი 1931 წლის 13 დეკემბერს მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბრის დროს: „იმათგან, ვინც რუსეთში რჩებოდა, ძალიან ცოტა იყო ისე მჭიდროდ დაკავშირებული რუსეთის სინამდვილესთან, მუშათა მოძრაობასთან ქვეყნის შიგნით, როგორც ლენინი, თუმცა ის დიდხანს იმყოფებოდა უცხოეთში. ყოველთვის, როცა მასთან ჩავიდოდი უცხოეთში — 1906, 1907, 1912, 1913 წლებში, მე ვნახულობდი მთელ დასტა წერილებს, რომლებიც მას მოსდიოდა რუსეთში მომუშავე პრაქტიკოსებისაგან, და ლენინმა ყოველთვის მეტი იცოდა, ვიდრე იმათ, ვინც რუსეთში რჩებოდა“.

იმავე ამხანაგიდან მე შევიტყვე ბოლშევიკების პარიზის ჯგუფის უახლოესი სხდომის დღე და საათი. ლენინი მხოლოდ ერთხელ — 1907 წელს — ფინეთში მყავდა ნახული. მაგრამ მეხსიერებაში ჩამებეჭდა ის, რაც მასში იყო თავისებური და განუმეორებელი. სხდომაზე მისულმა, უცბად ვიცანი იგი — პატარა ოთახის კუთხეში იჯდა, ჭადრაკის დაფაზე დახრილი.

ლენინის ერთერთი დამახასიათებელი თვისება იყო გულისყურიანობა და მიზანსწრაფულობა. ეს თვისება მის გარეგნულ იერშიც ვლინდებოდა. ბელადის ეს თვისება ზედმიწევნით ფაქიზად და სწორად არის ნაჩვენები კინოფილმში — „ლენინი ოქტომბერში“. ფილმში არის ერთი პატარა სცენა: ილიჩი სმოლნის დერეფანში შეხვდება ვილაცის მიერ მიტოვებულ პატარა გოგონას და თავის კაბინეტში შეიყვანს, მისცემს ქაღალდსა და ფანქარს, დასვამს მაგიდასთან და ეუბნება — დახატეო, თვითონ კი თავის სამუშაო მაგიდას მიუჯდება. მაგრამ აი იგი ადგება, ოთახში გაივლ-გამოივლის, შემდეგ გოგონას ზურგს უკან შეჩერდება და მის ნახატს აკვირდება. როცა ფილმს ვუყურებდი, მე განმაცვიფრა მსახიობის თამაშმა — როგორ სწორად და მართლად გადმოსცემდა იგი ლენინისათვის დამახასიათებელ დაძაბულ გულისყურიანობასა და სერიოზულობას.

დავუბრუნდეთ ლენინთან შეხვედრას. სხდომაზე, სადაც მე იგი ვნახე, არც თუ ისე მნიშვნელოვან მიმდინარე საკითხებზე მსჯელობდნენ. ლენინმა სიტყვა აიღო და ხუთრვა წუთს ილაპარაკა. 50 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, სამწუხაროდ, ილიჩის სიტყვები აღარ მახსოვს. მაგრამ ვერასოდეს ვერ დავივიწყებ იმას, თუ როგორ ძირფესვიანად შესცვალა ჩემი განწყობილება მისმა სიტყვებმა: გამიქრა მოქანცულობა და ფიზიკური სიძაბუნე, თითქოს მძიმე ავადმყოფობისაგან განვიკურნე.

სხდომის დასასრულს ჩემთან მოვიდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია და მეგობრულად მისაყვედურა: „ეს თქვენა ხართ ის ნატაშა, ვისაც არა სურს ჩვენთან მოსვლა? ილიჩმა კი დამავალა აუცილებლად მომგვარეო. მოდით ჩვენთან ხვალ, საღამოს რვა საათზე“.

ზუსტად დათქმულ საათზე მივედი მარიროზის ქუჩაზე, № 4 სახლთან. კარგად მახსოვს როგორ ვღელავდი.

მე შემიყვანეს პირდაპირ „მისაღებში“, ე. ი. პატარა სამზარეულოში, სადაც კედელთან, გაზის ქურის პირდაპირ, იდგა მუშამბაგადაფარებული პატარა მაგიდა. ეს — „მისაღები“, სასადილო ოთახიც იყო. მიმიპატიჟეს საღამოს ჩაიზე და უბრალო ვახშამზე. მაგიდას მოუსხდნენ მასპინძლებიც: ვლადიმერ ილიას ძე, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მისი მოხუცი დედა.

მაინც არ ვიცოდი, საიდან დამეწყო ლაპარაკი. მაგრამ ვლადიმერ ილიას ძის პირველივე სიტყვებმა და შეკითხვებმა უცბად ახალ სინათლეზე წარმომიდგინა სამშობლოში ამ ბოლო თვეებში გადატანილი განცდები, მე თვითონვე აღმეძრა ხელახალი ინტერესი იმ ამბებისადმი, რის შესახებაც ლენინს ვუყვებოდი. ჩემში მომხდარი ამ ცვლილებების მიზეზი იყო ვლადიმერ ილიას ძის დაძაბული ყურადღება ჩემი მონაყოლისადმი. თითო-ოროლა ფრთხილი შეკითხვებით ლენინი მიმართულებას აძლევდა საუბარს, საშუალებას არ მაძლევდა შემეკვეცა იგი. სულ უფრო და უფრო გავხალისდი, მე ლენინს ვაცნობე იმ ვითარებაზე, რაც 1909 და 1910 წლებში შეიქმნა ოდესაში, ნიკოლაევში და ეკატერინოსლავში. ვუამბე თუ როგორ ვცდილობდით გამოგვეცა პარტიის ბეჭდვითი ორგანო და როგორ დაესხა სტამბას თავს პოლიცია, მოვუყევი არალეგალური წრეების მუშაობის, ამ წრეებში ოხრანკის საიდუმლო აგენტების შემოგზავნის, დაპატიმრებების, ბოლშევიკების ოდესის კომიტეტის მომავალი სასამართლო პროცესისა და სხვათა შესახებ.

ამ საღამოს მე პირველად განვიცადე ზემოქმედების ის უჩვეულო ძალა, რასაც ლენინი ახდენდა ადამიანებზე. ბევრი თანამედროვე თავიანთ მოგონებებში ხაზს უსვამს ლენინის უნარს — მოესმინა ადამიანებისათვის.

განსაკუთრებული სიმხნევე შემმატა ლე-

* იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინის წინადადებამ — ჩემი ცნობები ჩამომეყალიბებინა მოკლე ინფორმაციად პარტიის ცენტრალური ორგანოს — „სოციალ-დემოკრატისათვის“, რომელიც პარიზში გამოდიოდა და რუსეთში ფარულად იგზავნებოდა.

ამ შეხვედრის დროს მე დავინახე აგრეთვე თვალსაჩინო მაგალითი წესრიგიანობისა, რასაც ლენინი იცავდა ყველგან და ყოველთვის. შეხვედრის დასაწყისში ლენინს ვკითხე — რამდენ დროს დაუთმობდა ჩემთან საუბარს. მან მიპასუხა: დრო საკმაო გვაქვს, და რადგან საუბარს ჩაის სმას დავამთხვევთ, ჩვენს განკარგულებაში საათნახევარიაო. და აი, მე თხრობით გავერთე და დრო დამავიწყდა. ლენინმა უცბად საათს შეხედა. ჩანდა, დანიშნული დრო ამოიწურა მე ავჩქარდი. მომისმინა რა ბოლომდე. კვლავ შემახსენა — დამეწერა კორესპონდენცია გაზეთისათვის, მეგობრულად გამომეთხოვა და სამუშაო ოთახში შევიდა.

პარიზში ყველამ ვიცოდით, თუ როგორ აფასებდა ლენინი დროს. დანამდვილებით კი მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გავიგეთ თუ რა ტიტანური შრომა გასწია ლენინმა იმ წლებში. გავიგეთ მაშინ, როცა გამოიცა მისი თხზულებების სრული კრებული.

მიუხედავად ამისა, ვლადიმერ ილიას ძე მაინც პოულობდა დროს, როცა საჭირო იყო გაჭირვებაში ჩავარდნილი ამხანაგის დახმარება. ერთხელ, სახლში გვიან დაბრუნებულს, წერილი დამხვდა. მატყობინებდნენ: წინა საღამოს ლენინთან ლაპარაკი იყო ავადმყოფი ამხანაგის კურნატოვსკის მძიმე მდგომარეობაზე და გადაწყვეტილია მისი ერთი საავადმყოფოდან მეორეში გადაყვანაო. მე კი ლენინის სახელით მთხოვდნენ ამ საქმის მოწყობა ჩემი ნაცნობი ფრანგი ქირურგისათვის მეთხოვა, ხოლო მასთან წასვლის დრო ლენინისათვის მეცნობებია. დავურეკე ქირურგს და ვლადიმერ ილიას ძეს ვაცნობე ქირურგთან შეხვედრის დღე და საათი. იმავე საღამოს გადმომცეს: ლენინსაც სურს შენთან ერთად ქირურგის ნახვაო.

კარგად ვიცოდი, თუ რა აკურატული იყო ლენინი. ზუსტად დანიშნულ დროზე მოვიდა იგი, ხალისიანი და ახალგაზრდული ძალებით აღსავსე.

დამამახსოვრდა ამ შეხვედრის სხვა დეტალიც. ლენინმა მაგიდაზე შენიშნა მხატვრული ღია ბარათი — ასლი „პერედვიჟნიკების“ ერთერთი სურათისა. ყურადღებით დაათვალიერა და ჩუმად თქვა: როგორ კარგად გადმოსცემენ პერედვიჟნიკების ეს სურათები რუსულ ცხოვრებასო.

ჩვენ გავემგზავრეთ პარიზის მეორე ბოლოში. იქით-აქეთ გზამ და ქირურგთან შეხვედრამ ორი საათი წაგვართვა. თუ რას ნიშნავდა ლენინისათვის ორი საათი, მხოლოდ მათ იციან, ვინც თვალყურს ადევნებდა მის მუშაობას.



ამხანაგებისადმი გულისხმიერი და ყურადღებიანი, მკაცრი და მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი. ლენინის პირადი მაგალითი, მისი მომთხოვნელობა და უზარმაზარი გავლენა იცავდა ბოლშევიკურ კადრებს უცხოეთში ემიგრანტშჩინის გამრყვნელი გავლენისაგან. იძულებით უმუშევრობას, უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას მამაცურად იტანდნენ ჩვენი ამხანაგები. ისინი ენთუზიაზმით ასრულებდნენ სხვადასხვა პარტიულ დავალებებს, მათ შორის სულ მცირე, საკირკიტო ტექნიკურ სამუშაოსაც.

პარტიული ორგანოს გამოსაცემად ფული რომ გვეშოვნა, ვმართავდით საღამოებს, ზოგჯერ — სპექტაკლებსაც. ლენინი ამ საღამოებზე არ დადიოდა, მაგრამ ყოველნაირად გვაქეზებდა ორგანიზატორებს. ამასთან გვაფრთხილებდა: თქვენ გეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ გართობა ამ საღამოებზე კულტურულ ხასიათს ატარებდეს და არ დაუშვათ ისეთი რამ, რაც ჩრდილს მოგვაყენებს ჩვენ, როგორც პარტიის წევრებსო.

არ სურდათ რა მძიმე ტვირთად დასწოლოდნენ ემიგრანტულ სალაროს (რომელიც უნდა ითქვას, ხშირად იყო ცარიელი), ბოლშევიკი-ემიგრანტები დაჟინებით ეძებდნენ სამუშაოს, ყოველნაირ საქმეს კიდებდნენ ხელს: აძლევდნენ გაკვეთილებს, თარგმნიდნენ, მანქანებზე ბეჭდავდნენ, ავეჯის გადატანასა და მანქანების გარეცხვასაც არ თაკილობდნენ...

თავისი ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობით ბოლშევიკური ჯგუფი მკვეთრად განსხვავდებოდა პარიზში მყოფი ემიგრანტების ყველა სხვა ჯგუფისაგან. ერთხელ ესერების პარტიის ერთმა გამოჩენილმა წევრმა მითხრა: „რატომ გამოირჩევით თქვენ. ბოლშევიკები, ყველასაგან?.. თქვენ გაქვთ რაღაც განსაკუთრებული შინაგანი შინაარსი, განსაკუთრებული დარაზმულობა, თქვენი განსაკუთრებული სამყარო“.

დიაღ, ჩვენ გვქონდა განსაკუთრებული სამყარო. ეს იყო სამყარო ბოლშევიკური პარტიისა. ჩვენ ვემზადებოდით რევოლუციისათვის. სწორედ ამ წლებში ბოლშევიკები. ლენინის ხელმძღვანელობით, ყალიბდებოდნენ განსაკუთრებულ პარტიად, ახალი ტიპის პარტიად. იგი განსხვავდებოდა ჩვეულებრივი სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, თავისუფალი იყო ოპორტუნისტული ელემენტებისაგან, შესწევდა უნარი გაძღოლოდა პროლეტარიატს ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. მიუხედავად რევოლუციური იატაკქვეშეთის უმძიმესი პირობებისა, პარტია რუსეთში უდიდეს ძალას წარმოადგენდა, მას ეკუთვნოდა მომავალი. ბოლშევიკების „განსაკუთრებული სამყარო“ იყო მათი განუწყვეტელი ბრძოლა ხალხის საქმისათვის.

სასიხარულო იყო ცხოვრება და ბრძოლა ლენინური დროშის ქვეშ.

**კრებულიდან — „მოგონებები ვ. ი. ლენინზე“. „გოსპოლიტიზდატი“, მოსკოვი 1954 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისინი ჩვენს გვერდით შრომობენ



# კეთილი თესლის მთესველი

ნაძვის წვეროებს მზის უკანასკნელი სხივები კოცნიდნენ. დაცარიელებულ ქალაქში დინჯად შემოდიოდა მეთერთმეტე არმია. დაღლილნი, დამტვერილნი პირველ შემხვედრ სახლს მიადგნენ და წყალი მოიკითხეს. კიბეებზე აკანკალებული დედაბერი მოეგებათ.

— ნუ მომიკლავთ შვილს, — შეევედრა მეთაურს და ჩაიკეცა. განცვიფრებულმა წითელარმიელმა ფრთხილად წამოაყენა მოხუცი და ხელზე ეამბორა.

მალე თეთრხალათიანი, წითელჯვრიანი ქალიშვილი ესტუმრა მოხუცს. სანოვაგით სავსე კალათა კუთხეში დადგა და შეწუხებულ ავადმყოფს დაუტრიალდა. ოფლი მოსწმინდა, წამლები მიაღებინა... და იმედგადაწურულ მოხუცს მალე შვილიშვილის შეძენა მიულოცა...

— ასე დავბადებულვარო 8 მარტს, — იგონებს ახლა დარეჯანი.

მერე საკუთარი გზის დაწყებისა ვკითხე.

— უჩვეულო არაფერი გამიკეთებია. ობლად გავიზარდეთ დები; მართა ბებიას სიკეთე და თბილი ხელი მერეც არ მოგვკლებია. ჩემგან ექიმობას მოელოდა, მაგრამ მე მცენარეთა სამყარო უფრო მიზიდავდა და აგრონომიული ვარჩიე.

1942 წლის მძიმე დღეებში დამთავრდა ომით დასუსხული სტუდენტობაც, ახალგაზრდა სპეციალისტი დარეჯან მიქაბერიძე სამხრეთ ოსეთში, ერედვის მეთესლეობის კოლმეურნეობაში გაგზავნეს.

დაძაბულმა წლებმა მუდამდღე ხალხთან ტრიალმა და ზრუნვამ კიდევ მეტად შეაყვარა არჩეული პროფესია.

შემდეგ ბოდბეს იგონებს დარეჯანი. 1949 წელს კი მშობლიურ ჩოხატაურს დაუბრუნდა და დღემდე ხელმძღვანელობს მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციას.

ჯანსაღი თესლი უხვი მოსავლის დედაა! — მუდამ ამ დევიზის პროპაგანდისტია დარეჯანი ჩვენს რაიონში.

მომთხოვნი და დაუზარელი, ხალისიანი და გამჭრიახი, — ასე იცნობენ მას რაიონის კოლმეურნეები.

ამ ხნის მანძილზე ჩოხატაურის მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექცია და თვით საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი დარეჯან მიქაბერიძე ხუთჯერ იყო სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, დაჯილდოებულია ვერცხლის, ბრინჯაოს მედლებითა და დიპლომებით.

გაზაფხულიდან შემოდგომამდე სწრაფად იმარცვლება დღეები. როცა „თესე-კაფეს“ ხმა წამოვა მთებიდან, უკვე მშვიდადაა დარეჯანი. ეს სიმშვიდე მთელი წლის მოუსვენარ დღეთა ტკბილი ნაყოფია.

სამსახურის გარეთ სხვა ბევრი საქმე ელოდება კომუნისტ ქალს. რაიონში მოწყობილი ყველა სასოფლო-სამეურნეო ღონისძიების სული და გულია დარეჯანი. იგი სოფლის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარეა.

ჩაისუბნელ და ხიდისთაველ კოლმეურნეთა მიერ ბათუმისა და გორის რაიონების „სეხნია“ სოფლების დაძმობილებაც დარეჯანის წამოწყებაა.

41 პროფკავშირის პირველადი ორგანიზაცია 1200 წევრით ხომ გამოულევ საზრუნავს უჩენს რაიკომის თავმჯდომარეს.

დატვირთულია დარეჯანი სამსახურში, მაგრამ ოჯახს როდი აკლია მზრუნველი დიასახლისისა და დედის ფაქიზი ხელი.

ლიანა თოდუა

# ძალიან კარგი ადამიანები

ყოველ დილით გრიბოედოვის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტზე ჯოხით ხელში ნელი ნაბიჯებით ჩამოდის სიმპატიური სახის მოხუცი ქალი.

შეუძლებელია შეხედოთ და პატივისცემის გრძნობა არ აღგეძრათ მის მიმართ.

ეს ქალი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შრომის დარგობრივი ნორმატიულ-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი ლიდა არსენის ასული კომნადსკაიაა. მისი ლაბორატორია აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის შენობაშია მოთავსებული.

...სამუშაო მაგიდასთან ზის ქათქათა, თეთრხალათიანი მოხუცი. იგი შემოქმედებით ძიებაშია. რთული მათემატიკური გაანგარიშებით აზუსტებს, თუ როგორ უნდა შემცირდეს აბრეშუმის მრეწველობაში პარკის ამოხვევის, ძაფის გრეხისა თუ აბრეშუმის ქსოვის ტექნოლოგიური პროცესების შესრულებისას სამუშაო დროის დანაკარგები, როგორ დადგინდეს შრომის პროცესების უფრო მარჯვე ხერხები და მეთოდები.

შესვენების დროს ეს ხანდაზმული ქალი თავისი ინტერნაციონალური კოლექტივის ახალგაზრდა წევრებს შორის ყველაზე უმცროსად და ახალგაზრდად გამოიყურება: ხუმრობს, საალერსო სახელით ეხმაურება მათ, რომელთაც ნახევარი საათის წინ ოფიციალურად მიმართავდა.

შრომა ლიდასთვის სასიცოცხლო მოთხოვნილებად ქცეულა. ბოლო ხანებში ბევრს მუშაობს წარმოებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის საკითხზე. აღნიშნული საკითხის შესწავლის გამო მივლინებული იყო მოსკოვში, კიევში, სომხეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისინი ჩვენს გვერდით შრომობენ

# ევა ზასეევა



იმ ოს ქალთა შორის, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაეწაფნენ სწავლას და აქტიურად ჩაებნენ პარტიულ-საზოგადოებრივ მუშაობაში, ევა ივანეს ასული ზასეევაც იყო.

ის დაიბადა ცხინვალში. თექვსმეტი წლისა, მშობლებისაგან ფარულად, მონაწილეობდა იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის — „სპარტაკის“ მუშაობაში, შემდეგ სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში ჩაება.

როცა ევა ივანეს ასული სოფლის ბავშვებს ასწავლიდა, დარწმუნდა, რომ თავისი ცოდნით შორს ვერ წავიდოდა. ამიტომ 1924 წელს თბილისში ჩამოვიდა, მუშფაკში დაიწყო სწავლა და ამასთან ერთად, მუშად მოეწყო პოლიგრაფმრეწველობაში.

ევა ივანეს ასულმა პოლიგრაფიის მუშაკთა შორის მალე მოიხვეჭა ავტორიტეტი. 1926 წელს იგი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. შემდეგ აირჩიეს ქალთა ორგანიზატორად, არჩეული იყო კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად, პარტბიუროს წევრად, იყო მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის წევრი.

1929 წელს პარტიის თბილისის კომიტეტისა და ლითოგრაფიის პარტიული ორგანიზაციის რეკომენდაციით ევა ივანეს ასული, როგორც მოწინავე და აქტიური მუშა, უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებელში გაიგზავნა. აქ სწავლის პერიოდი დაემთხვა საკოლმეურნეო მშენებლობას. ევა ზასეევა მობილიზაციით გაიგზავნა ჯავის პარტიულ ორგანიზაციაში. მან დიდი მუშაობა გაჩაღა შორეული სოფლების ქალთა შორის, განუმარტავდა მათ საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობას, მის სიკეთეს მშრომელი გლეხი ქალებისათვის.

კომუნისტური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ევა ზასეევა საოლქო პარტიული სკოლის გამგედ მუშაობდა. 1935 წელს მუშაობას იწყებს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში. ევამ დიდი შრომა გასწია ლენინის ცენტრალურ მუზეუმსა და ადგილობრივ არქივებში საგამოფენო მასალების შესაგროვებლად და მუზეუმის თბილისის ფილიალის პირველი ექსკურსიამძღოლების მოსამზადებლად.

სამამულო ომის წლებში ევა ივანეს ასული პარტიის კალინინის რაიკომის პროპაგანდისტია. ომის წლებში თავდადებული შრომისათვის ის მედლებით დააჯილდოეს.

1945 წლიდან ევა ივანეს ასული კვლავ ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში ბრუნდება და საექსკურსიო ბიუროს ხელმძღვანელობს. ის, როგორც მეცნიერ-თანამშრომელი, ბევრს მუშაობს მუზეუმის ექსპონატების შესაგროვებლად და გასაუმჯობესებლად, დამთვალიერებელთა უკეთ მომსახურებისათვის. მისი მონაწილეობით მოეწყო გამოფენები — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წელი“, „ლენინური კომკავშირის 40 წელი“.

ევა ზასეევა თბილისის მშრომელთა შორის პროპაგანდისტულ მუშაობასაც ეწეოდა. ხელმძღვანელობდა პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეებს, პროპაგანდისტთა სემინარებს, გამოდიოდა ლექცია-მოხსენებებით დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებებში, როგორც პარტიის თბილისის კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი.

ამჟამად ევა ივანეს ასული პერსონალური პენსიონერია, მაგრამ კვლავ აქტიურ პარტიულ-საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა; ხშირად გამოდის მოხსენებებით თავის პარტორგანიზაციაში, მუშაობს მიკრორაიონში მცხოვრებ ბავშვებთან და ასრულებს მთელ რიგ საზოგადოებრივ დავალებებს.

ე. იმნაიშვილი.



მიუხედავად ხანდაზმულობისა და ფიზიკური მდგომარეობისა (ამჟამად 65 წლისაა, ახალგაზრდობაში ავარიის გამო დაკარგა ფეხი და ატარებს პროტეზს), ლიდა გასაოცრად მხნე და ხალისიანი ადამიანია. შეკითხვაზე — როგორ ხართ? პასუხობს — ყველაზე კარგად.

მხნე, გაბედული, ახლის დანერგვისათვის მებრძოლი ქალი პირად ცხოვრებაში უაღრესად უმწიკვლო, თავმდაბალი და უპრეტენზიოა. მისი ყველაზე დიდი სიამოვნებაა — სხვებს გადასცეს და გაუზიაროს თავისი ცოდნა და გამოცდილება.

ე. გოგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ალუბლის ხე

მურთაზ ჩახავა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

როცა ზამთარი მიილეოდა და მზე ცოტა ახლოდან გამოაჭყეტდა თვალებს, მე და ბებია შევუდგებოდით ეზოს დასუფთავებას. ბებია სიმინდის ჩარჩენილი ძირების ამოყრას დაიწყებდა, მე — ფარცხვას. ერთ ადგილზე ვუყრიდით ნეშოს თავს და ვწვავდით. ჩვენი ეზოდან ამდგარი კვამლი ჯერ მაღლა აიწევდა და მერე მეზობლის ეზოში გადავიდოდა. ახლა ქიშკრიდან გამოვხედავდით. ბებია იტყოდა: „ხახვის ფურცელივით ეზო მაქვსო“. ამის შემდეგ ბარვას შევუდგებოდით. მე, პატარაპირიანი და მოკლეტარიანი ბარი მქონდა. „აი ეს იქნება შენი ფრთაო“, — მეტყოდა და ბარით შემომიხაზავდა ნაკვეთს. ყოველთვის ვჩქარობდი, მინდოდა ბებიასთვის დამესწრო. ბებია ამაზეც მედავებოდა: „სიჩქარით საქმე არ გაკეთდებაო“. მიწაში ბარის პირს ყოველთვის ბოლომდე ჩავუშვებდი და მერე ბელტს კარგად გადმოვაბრუნებდი, ერთმანეთზე ლამაზად ვაწყვენდი; ამით მაინც მინდოდა მეჯობნა, მაგრამ ბებიას ბელტები ერთმანეთზე ლავაშებივით იყო მიწყობილი. ვატყობდი, აქაც მჯობნიდა. ეზოში დამწვრის სუნი ტრიალებდა.

ერთმანეთის მოშორებით ვიდექით. ბებია არაფერს ლაპარაკობდა, არც მე. ვიცოდი, რომ საქმის დროს ლაპარაკი არ შეიძლებოდა, მაგრამ ერთი საფიქრალი მქონდა: რას ფიქრობდა ბებია, როცა არაფერს ამბობდა და გულმოდგინედ ბარავდა. ალბათ, ისიც ჩემსავით იმაზე ფიქრობდა — არ მაჯობოს ამ ბღარტმაო.

ბებიას თეთრი „ცახოცით“ ჰქონდა თავი წაკრული. გრძელი კაბა კოჭებს უფარავდა. ფეხზე წვეტიანი და ფერდაკარგული კალოშები ეცვა. სხვა კალოშებიც ჰქონდა ბებიას, სულ ახალი, პრიალა, ბამბაზიის ახლად შეკერილი კაბაც, მაგრამ არ იცვამდა. ამბობდა, სადმე გადასვლა რომ მომიხდეს, მქონდეს ერთი ხელი სუფთადო. მაგრამ ბებიას იშვიათად უწევდა სადმე გადასვლა. ერთხელ იყო, მეზობლის ტირილზე მოხუცმა ქალებმა გამოუარეს. „დაუჩქარე, გოგოო“ — დაუძახეს ბებიას. ბებიაც დაფაცურდა, აივანზე გადმოდგა და გრძელი, თეთრი თმა ჩამოიშალა, დაისველა და ვარცხნა დაიწყო. „სახლი შენ იციო“, — დამიბარა, კაბის კალთები კიდევ ერთხელ შეიფერთხა, მერე თავშალიც დაფერთხა და მოიხურა, საფეთქლებთან შემოიკეცა. „აბა ჰკუითო“ — მითხრა, თავშლის ცალი კალთა ნიკაპთან მოტეხა და კისერს შემოვლებით მხარზე გადაიგდო. თავშალმა მხრები მთლიანად დაუფარა. ბებია კიბეზე დაეშვა, თავშლის ფოჩები ჩურჩხელებივით აქანავდნენ. მერე მეზობლებს მიესალმა და მათ შორის ჩადგა. ბებია და კიდევ ორი ქალი წინ გაიძღოლეს. დანარჩენები უკან მიჰყვნენ.

რომ დაბრუნდა, ნამტირალევი თვალები ჰქონდა. მოვიდა ჩემთან და ეზოში გამიყვანა. ახლადდარგულ ალუბლის ხესთან მიმიყვანა. „ჩემო შვილო, — მითხრა და თავზე ხელი დამადო — აი, ამ ხეს მოუარე და გახსოვდეს, რომ ის ჩემი დარგულიაო; როცა გამოისხამს და იხილო, გამიხსენე. მომიგონე შენი ბებიაო“. მაშინ ტირილი ამივარდა. ბებიამ გულში ჩამიკრა. „შენ არაფრის შეგეშინდეს, ბებია, აბა ყოველთვის კი არ ვიქნებიო. მე უნდა წავიდე, შენ უნდა დარჩე, აბა როგორო...“ და დიდხანს ვყავდი მკერდზე მიხუტებული.

მას შემდეგ სულ იმის მეშინოდა, ბებია ისე არ წასულიყო ჩვენგან, რომ არ მოვსწრებოდი. დიდს ვერაფერს გავუკეთებდი, მაგრამ ერთი რაღაც მქონდა ჩაფიქრებული: შალის საკაბე მინდოდა მეყიდა, თუთუნი უყვარდა და თუთუნიც იმდენი მინდოდა მეყიდა, რომ რამდენიც არ უნდა ეწია, ყოფნოდა და საყიდელი არ ჰქონოდა.

* * *

როცა ზამთარი მიილევა და მზე ისევ ახლოდან გამოაჭყეტს თვალებს, მე შევუდგები ეზოს დასუფთავებას. ჯერ სიმინდის ჩარჩენილ ძირებს ამოვყრი, მერე ნეშოს ერთ ადგილზე მოვუყრი თავს და დავწვავ. კვამლი ისევ მაღლა აიწევს და მეზობლების ეზოებს გადაუვლის.

შევუდგები ბარვას. ჩემი და ბებიას ნაკვეთი ახლა ერთია. მისი ფრთა ახლა ჩემი ფრთაა. ნელა ვბარავ ბებიას ძველი ბარით და გავცქერი მაღლა აშოლტილ ალუბლის ხეს, რომელიც სახლის სახურავს აცილებია და პეპლის ფრთებისოდენა ყვავილებით შეფეთქილა.

თენგიზ თაქთაქიშვილი

# ქოლგა



ისინი ერთად მიდიოდნენ პროსპექტზე. ვაჟს უნდოდა ქალისათვის ხელმკლავი გაეკეთებინა, მაგრამ ვერა ბედავდა. ვაჟს ერუანტელსა ჰგვრიდა ქალის მკლავზე ოდნავ შეხებაც კი. „ვითომ, რომ გავუყარო მკლავი, რა მოხდება? არა, ვაითუ იუხერხულოს“, გაიფიქრა ვაჟმა.

ქალს დაკეცილი, წითელი ქოლგა ჩამოეკიდა მკლავზე.

— ღრუბლიანი ამინდია, შეიძლება გაწვიმდეს, — ამბობს ქალი.

— ღმერთმა ნუ ჰქნას. — უპასუხებს ვაჟი. — ხალხი დაიშლება. შინისაკენ გაეშურებიან. ჩვენც წავალთ!

— მე მიყვარს წვიმიანი ამინდი, — ეუბნება ქალი. — მიყვარს, როცა ხის ქვეშ ვდგევარ და წვიმს. ასე მგონია, ფოთლები სცრიან.

— მერე მარტო ამის გულისათვის ოცნებობ წვიმაზე? — გაუკვირდა ვაჟს.

— არა, კიდევ არის მიზეზი. სასიამოვნოა, როცა სახლის სახურავებიდან ზარზეიმით ეცემიან ძირს წვეთები. ასე მგონია, რაღაც შესანიშნავ მუსიკას ვისმენ-მეთქი.

— უცნაურია, — ისევ უკვირს ვაჟს, — წვიმაში დასველებას, თუკი ასე გიყვარს მუსიკა, დაჯექი და უსმინე რადიოს!

— არა, ეს ბუნების მუსიკაა. ესეც ძალიან სასიამოვნოა, — პასუხობს ქალი. ვაჟი წითლდება და ეუბნება:

— ახლა რომ გაწვიმდეს, შინ არ გავიქცევით?

— არა. ქოლგა რისთვის წამოვიღე!

— წვიმა დიდხანს რომ გაგრძელდეს, ქოლგაც დაგისველდება, — არწმუნებს ვაჟი.

— დამისველდეს. მე ხომ მიყვარს წვიმა, არ ვინაღვლებ.

ისინი კინოთეატრთან შეჩერდნენ. აფიშას ათვალიერებენ.

— ეს ფილმი ნანახი მაქვს, — ამბობს ქალი.

— მეც. — პასუხობს ვაჟი.

— ისევ ფეხით გასეირნება გვირჩევნია, — ურჩევს ქალი.

პროსპექტს გაუყვნენ. ციდან ჰექაქუხილი მოისმა.

— აი, ხომ გითხარი, იწვიმებს მეთქი, — ამბობს ქალი და ეღიმება.

— ძალიან ცუდია, — ნაღვლობს ვაჟი.

— ცუდი ის არის, რომ არ გიყვარს წვიმა.

„წვიმა მიყვარს, მაგრამ ხელს შეგვიშლის“, — გაიფიქრა ვაჟმა.

ისევ იქუხა. ჯერ რამდენიმე წვეთი ჩამოვარდა, თითქოს ცა წინასწარ აფრთხილებდა დედამიწას — წვიმას ვაპირებო. შემდეგ უფრო იმატა. ქუჩებში პატარა ნიაღვრები გაჩნდა. ქალმა ქოლგა გაშალა. ორივენი ხის ქვეშ დადგნენ. კიდევ უხშირა წვიმამ. სახლის სახურავებიდან ჩანჩქერები წამოვიდა. პროსპექტზე ხალხი შეთხელდა. ქალაქსაც ბინდი შეეპარა. ქალი ქოლგის ქვეშ უვნებლად გრძნობდა თავს. ვაჟი სველდებოდა.

— წავიდეთ, თუ გინდა, ავტობუსში ჩავსხდეთ, — ამბობს ქალი.

— ცოტა ხანიც მოვითმინოთ, უფრო დავსველდებით, — აკავებს ვაჟი.

— შენ სულმთლად გაიწუწე. მოდი, შემოეფარე ქოლგას, იქნებ ორივეს გაგვწვდეს, — სთხოვს ქალი.

ვაჟი კრძალვით გადადგამს ნაბიჯს, ისიც ქოლგის ქვეშ აღმოჩნდება.

ორივენი გამალებით სუნთქავენ. ერთმანეთის გულისცემა ესმით. სდუმან. უნდათ გაიგონ, რას ამბობენ მათი გულები.

ქალს თავი დაბლა დაუხრია და თვალს აყოლებს წვიმის ბუშტებს, თითქოს სთვლისო. ვაჟი ზემოდან დასცქერის.

— რა კარგი ყოფილა წვიმა, — ამბობს ვაჟი.

— აი, მეც ხომ გეუბნებოდი, ხედავ, მოგეწონა, — გაეხარდა ქალს.

— ნეტავ, დიდხანს გაგრძელდებოდეს, — ნატრულობს ვაჟი.

— გესმის წვიმის მუსიკა?

— მესმის! შემიძლია დილამდე ვუსმინო!

ქალს ეღიმება. თავს ისევ ხრის დაბლა. ისინი ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან. ქალ-ვაჟი ხმადაბლა ჩურჩულებენ. წვიმამ უკლო. მერე სულაც შეწყდა.

ისინი ხელმკლავგაყრილები გაუყვნენ პროსპექტს.

# ციტრუსოვნები მოვიდა ბაზარზე

რეპორტაჟი



ქსენია კვარაცხელია

ფოტო დ. იაკობაშვილისა

მანქანა ჯერ კვიპაროსების ხეივანში შესრიალდა, მერე მკლავებგაშლილ ნაძვნარში ამოყო თავი და თეთრი შენობის წინ დადგა. შენობაში ჩამიჩუმი არ ისმოდა. გაგვიკვირდა, დილაადრიან სად უნდა გაკრეფილიყვნენ. პარტბიუროს მდივანს სილოვან ხვისტანს ფეხზე მივუსწარით. ისიც პლანტაციებისაკენ მიეშურებოდა. დირექტორსაც იქ ვნახავთო, გვითხრა. სხვა გზა არ იყო, ჩვენც თან გავყევით.

ბარაქიანია აფხაზეთის მიწა. ბუნებას ათასი ფერით მოუქარგავს იგი. წითლად, ყვითლად, თეთრად აფეთქებულან ხეები, მწვანედ გადაჭიმულან ჩაის, ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის პლანტაციები, აზიდულან თვალუწვდენელი ტანწერწეტა ჩინარები, კვიპაროსები, ჰყვავიან ვარდები, საოცარი წითელი ვარდები. მივყვებით გზას გაზაფხულის სურნელით გაბრუებულნი. სილოვანი გზადაგზა გვიამბობს კოხორაზე.

37 წლის წინათ აქ მხოლოდ მუხნარი და რკოს გროვა ყოფილა. ამიტომაც დაერქვა ამ სოფელს კოხორა — რკოს გროვა. აქაურმა მკვიდრმა ერასტი ზუგბაიამ ბათუმში, საცდელ ნაკვეთზე, პირველად ნახა ციტრუსები. დაინტერესდა, როგორ მიწასა და ჰავაზე ხარობდა, რამდენიმე ძირი შინ წამოიღო და ეზოში დარგო. ორი-სამი წლის შემდეგ მისი ციტრუსების მოსავალმა ყველა აალაპარაკა გალში. მერე მას მეზობლებმაც მიბაძეს. შემდეგ, როცა ჩამოსული სპეციალისტების კომისია მეურნეობის გასაშენებლად მიწებს სინჯავდა, ერასტის მაგალითით დაასკვნეს, კოხორაში ციტრუსები იხარებსო. მართლაც, დაიწყეს მუხნარის გაკაფვა და ხეების ამოძირკვა, მერე კი 200 ჰექტარზე მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი დარგეს.

ფუტკარივით შესევია ხალხი ნაკვეთებს. ბუნების გამოღვიძებას თან მოუტანია შრომისა და სიცოცხლის ხალისი. მუშაობს დიდი და პატარა, ქალი და კაცი. ბრიგადიდან ბრიგადაში გადავყავართ დირექტორის კვალს. და აი, მას შევხვდით საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთზე, დაფნისა და ლიმონის მწკრივებს შორის. მოგვიახლოვდა შავგვრემანი, ჩასკვნილი ვაჟკაცი, მაღალი შუბლითა და ჭკვიანი, მეტყველი თვალებით; თავაზიანად გამოგვიწოდა ხელი და გაგვეცნო: გიორგი ჩაჩიბაია.

შემდეგ დინჯად და დამაჯერებლად გვაცნობს კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მიღწევებს, გვიამბობს მის მოწინავე ადამიანებზე, და საერთოდ, მეურნეობის ცხოვრებაზე.

1950 წლის ყინვებმა მთლიანად გაახმო ციტრუსები და მხოლოდ 32 ჰექტარი გადარჩა. მაშინ გიორგი ჩაჩიბაია ორი წლის მოსული იყო მეურნეობაში და მთავარ აგრონომად მუშაობდა. ვინ მოთვლის, რამდენი დრო, შრომა და ენერგია დასჭირდა პლანტაციების აღსადგენად. ამიტომაა, რომ მას შემდეგ გააძლიერეს ქარსაცავი ზოლები და პირველი დეკემბრიდანვე მასობრივად ფუთავენ ციტრუსებს, განსაკუთრებით კი — ლიმონს, რომელიც 8 გრადუსი ყინვისაგან უკვე ხმება.

საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტი კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის შეფია. გამოიყო საცდელი ნაკვეთები და წარმოებს ცდები ყინვაგამძლე ჯიშების გამოსაყვანად. ცდები ტარდება ლიმონისა და მანდარინის ნაკვეთებში დაფნის ორმხრივი დარგვის საშუალებით. სანერგე მეურნეობაში გამოიყვანეს ციტრუსების ახალი ჯიშები: მანდარინი — „უნშიუ", ფორთოხალი — „ვაშინგტონ-ავენი", „პერვენელი", „ადგილობრივი ქართული"; ლიმონი — „ქართული ლიმონი", „მეიერი".

დოცენტი ვ. კერესელიძე ტექნიკის საშუალებით აწარმოებს ნიადაგის ხელოვნური გათბობის ცდებს. აქვეა გაშენებული აკადემიკოს ქსენია ბახტაძის სასელექციო ჩაის ჯიშები, რომლებიც შემდეგ სხვადასხვა მეურნეობებს ეგზავნებათ.

აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის შემდეგ (გაშენდა 1930 წელს), კოხორის საბჭოთა მეურნეობა (გაშენდა 1931 წელს) მეორეა აფხაზეთში თავისი ფართობითა და მრავალდარგოვანებით. ამჟამად აქ 361,5 ჰექტარი ციტრუსებს უჭირავს. იმისათვის, რომ რენტაბელობა აემაღლებინათ, გააშენეს: 17 ჰექტარი ვაზი, 71 ჰექტარი ჩაი, 66 ჰექტარი ხეხილი, 9 ჰექტარი დაფნა, 25 ჰექტარი ბამბუკი. სულ ნარგავებს 700 ჰექტარი უჭირავს. წინათ მეურნეობაში 4 აგრორაიონი იყო, შემატა კიდევ სამი აგრორაიონი. რაიონებს ხელმძღვანელობენ დამსახურებული აგრონომები: ქსენია კვარაცხელია, შოთა კონსტანტინოვი, კლიმენტი თუნგია, თენგიზ ალავიძე, მოგელი ზუხბაია, გოგოლა ჯობავა.

მეურნეობის კოლექტივი ამაყობს იმ ადამიანებით, რომელთაც პირველმა ააგუგუნეს ტრაქტორები და პირველი ბარი დაჰკრეს ამ მინდვრებში. ახლაც ძველებური შემართებით შრომობენ ისინი.

ვინ არ იცნობს კვარაცხელიების ოჯახს. ლენინის ორდენოსანი ქსენია კვარაცხელია 27 წელია მუხლჩაუდრეკლად იბრძვის მაღა-

ლი მოსავლისათვის. № 2 აგრორაიონი ტოლს არაფერში უგდებს პირველ რაიონს. მისი ბრიგადები სასახელოდ შრომობენ და სათუთად უვლიან ყოველ ძირ ციტრუსს. დაგანა მარტო თვითონ, მთელი მისი ოჯახი მეურნეობის მოწინავეთა რიგებშია: ქსენიას მეუღლე — ტარასი ბერიძე აგრონომია, ქალიშვილი — ციალა ლაბორატორიაში მუშაობს, აგრონომია, სიძე — თენგიზ ალავიძე მეხუთე აგრორაიონის მმართველია, ვაჟიშვილი ოთარ ბერიძე — მე-6 აგრორაიონის მე-14 ბრიგადის ბრიგადირია.

პირველ აგრორაიონს შოთა კონსტანტინოვი ხელმძღვანელობს. მას სამი ბრიგადა აბარია და მისი ნაკვეთი 73 ჰექტარზეა გადაჭიმული. დილიდან საღამომდე შოთა გზაზეა გაკრული. მოსვენებას არ აძლევს ბრიგადირებს. მეორე და მესამე ბრიგადებს აგრონომი ქალები — ნადია ლატარია და ნათელა ეზუგბაია უდგანან სათავეში. ისინი ციტრუსებს გარდა უვლიან ვაზს, ფეიხოას, დაფნას, ჩაის, ხეხილს. ყველა ამ კულტურას თავისებური დამუშავება სჭირდება მათ სამუშაო თანაბრადა აქვთ განაწილებული და შრომაში საოცარი ერთსულოვნება იგრძნობა. როცა ერთნი გადაბარვაზე არიან, მეორენი თოხით მუშაობენ, ზოგს ნაკვეთში სასუქი შეაქვს, ნაწილი შეწამვლას აწარმოებს. მათ შორის შეჯიბრებაა გამართული. როცა ოქროს შემოდგომა დგება, როცა მოსავალს იღებენ მუშები, ბრიგადირები, აგრონომები, მაშინ ქსენიასა და შოთას შორისაც შეჯიბრება ჩაღდება, კოხორაში პირველსა და მეორე რაიონს მეურნეობის ბეღელს ეძახიან. ეს შეხედულება დაიმკვიდრეს წლების განმავლობაში, 1966 წელმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ორივე აგრორაიონმა სახელმწიფოს ჩააბარა 800 ტონა მანდარინი.

ეს წელი სარეკორდო იყო კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობისათვის: შვიდმა აგრორაიონმა მოკრიფა 1.700 ტონა მანდარინი, თითოეული ხიდან — 22 კგ ნაყოფი. მეურნეობის სუფთა მოგებამ მაშინ შეადგინა 700 ათასი მანეთი. საერთოდ, მეურნეობის გაშენების დღიდან 30 წლის მანძილზე, აქ მოიკრიფა 20 ათასი ტონა ციტრუსი და სახელმწიფომ მიიღო 5 მილიონ 800 ათასი მანეთი სუფთა მოგება. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კი საშუალო მოგება ყოველწლიურად 340 მანეთს აჭარბებს.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი ნაყოფი მიიღეს. ახლა მეურნეობა მდიდარი და სახელმოხვეჭილია. მისი უზარმაზარი მექანიზებული პავილიონებიდან საუკეთესო ხარისხის ციტრუსები იგზავნება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში: მოსკოვში, ლენინგრადში, ირკუტსკში, მაგადანში, ხაბაროვსკში...

მართალია, 1966 წელი სარეკორდო იყო. მაგრამ განა სხვა წლებში შრომას აკლებდნენ კოხორელები? ისინი იანვრიდანვე იწყებენ ზრუნვას მაღალი მოსავლისათვის. ნაკვე-



ნადია ლატარია, გიორგი ჩარიბაია და შოთა კონსტანტინოვი.



მეურნეობის პლანტაციებში



საბავშვო ბაღი



მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი სილოვან ჩვიტანი საჩუქრებს გადასცემს მოწინავეებს



პლანტაციებისაკენ



მეურნეობის კულტურის სახლი

თებს გადაბარავენ, შეაქვთ ფოსფორი და კალიუმი, მერე — ორგანული სასუქები და ახლა შიგ ჩაბარავენ, სარეველებისაგან წმენდენ. შემდეგ იწყება შეწამვლა (წელიწადში 7-ჯერ შეწამლავენ). ეს პროცესი მძიმე და რთულია. ამიტომ იყო რომ ამ რამდენიმე წლის წინათ, კოხორის მეურნეობის ხელმძღვანელობამ წამოაყენა წინადადება — შეეწამლათ პლანტაციები ვერტმფრენების დახმარებით. ეს წინადადება კიდევაც განხორციელდა. ახლა ვერტმფრენები დღეში 12-15 ჰექტარი ფართობის შეწამლას აწარმოებენ. და ამ საქმეს მხოლოდ ოთხი კაცი ემსახურება. იქ, სადაც ვერტმფრენი ვერ უდგება, ტრაქტორები აფრქვევენ წამალს.

კოხორის მეურნეობაში თერთმეტი ეროვნების 600 მუშა-მოსამსახურეა. კეთილმოწყობილია მეურნეობის საცხოვრებელი ტერიტორია. მეურნეობას აქვს საბავშვო ბაგა და ბაღი 100 ბავშვისათვის. პატარებს დედობრივ ზრუნვას არ აკლებენ ფენია ჩარგაზია და მარგო ეზუგბაია. მეურნეობაში არის მუსიკალური სკოლა, შენდება სკოლის ახალი შენობა, არის მაღაზიები, სასადილო, შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა 2 საცხოვრებელი სახლი. შენდება 18-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ზეიმის დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშით დაჯილდოებულ კოლექტივებს შორის აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაცაა.

ახლა მეურნეობისათვის მთავარია წლევანდელი გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლა. პირველმა და მეორე აგრორაიონებმა გეგმით 180-180 ტონა ციტრუსები უნდა მოკრიფონ, ივალდებულეს 220-220 ტონის მოკრეფა. მეოთხე აგრორაიონს გეგმით 190 ტონა აქვს მოსაკრეფი, ივალდებულა 220 ტონა. მეურნეობის საერთო გეგმა — 800 ტონაა, იკისრეს 1.000 ტონის მოკრეფა.

თუ ამინდებმა ხელი შეუწყო, კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა უთუოდ გადაჭარბებით შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

მართლაცდა, ბარაქიანია აფხაზეთის მიწა. ბუნებას ათასი ფერით მოუქარგავს — აფეთქებულან ხეები, ამწვანებულან პლანტაციები, ცაში აზიდულან ტანწერწეტა ჩინარები და კვიპაროსები, ჰყვავიან ვარდები, საოცრად სურნელოვანი ვარდები. თითქოს ამ დალოცვილ მიწაზე ღვთის თვალი დატრიალებულა და შემომქმედს კალთა აქ დაუბერტყავს.

**ოლია რევია,**
**ირმა გიგუში.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნიგა (ნინა) გალავანოვა



ოსი პოეტი ქალი, ნინა გალავანოვა 1915 წელს დაიბადა ჯავის რაიონის სოფელ ბეყანთიკაუში. ადრე დაობლებულმა გოგონამ მრავალი გაჭირვება გადაიტანა თავის მშობლიურ სოფელთან და ხალხთან ერთად. მხოლოდ საბჭოთა წყობილებამ გაუღო სკოლის კარი ნიჭიერ ქალიშვილს. მთიანი მხარის ერთი პატარა სოფლიდან დაიწყო მისი ცხოვრების გზა... დღეს ეს გზა შრომისა და შემოქმედების ნათელითაა გასხივოსნებული. გამოცდილი პედაგოგი, მრავალი წერილის, ნარკვევისა და სამეცნიერო-პედაგოგიური შრომის ავტორია. ნინა გალავანოვა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს თანამემამულეთა შორის, იგი მათ უყვართ, ამავე დროს, როგორც პოეტი, როგორც მათი განახლებული ცხოვრების მომღერალი. დიდად პოპულარულია ნინას რომანები და მოთხრობებიც. ამასთან ერთად, ნინას აფასებენ როგორც თაობების შესანიშნავ აღმზრდელს. იგი ამჟამად ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი სწავლების მეთოდიკის კათედრის დოცენტია.

## დედის სიმღერა

მთვარიან ღამემ ვერცხლის თავშალი
გადააფარა მთებს.
მთვარემ ფერმკრთალი სხივი გაშალა,
ნამგალა მთვარე თვლემს.
კავკასიონის ჭაღარა მთებზე
მსუბუქი სიო ჰქრის...
სიზმრად ქცეულა მიწა და ზეცა,
არ ეძინება, ვის?..

ჩვილის აკვანთან დახრილა დედა,
ღიმილს სხივებად შლის.
მღერის და ფიქრობს: რაგვარი ნეტავ
გზა ელოდება შვილს.

სიზმრად ქცეულა ზეცა და მიწა,
დედა გაურბის ძილს.
მღერის: ,,მამული გიყვარდეს შენცა,
მისთვის სიკვდილიც ღირს!..

ნუ მოსწრებოდე უამინდობას,
ვარდი ეფინოს გზებს;
ბედნიერებად გქონდეს მშვიდობა,
სულ შეჰხაროდე მზეს!..

## სინათლე

შუქი ჩამდგარა ოსეთის მთებში,
სინათლეა და მერე რამდენი!..
და როგორც დღისით ჩვეული ეშხით
შეღამებისას დგება ნათელი.

მუშის ხელებით დენი ირთვება,
ხალხმა სიბნელე არ გაახარა.
ცერზე შემდგარან ოსეთის მთები
ილიჩის შუქის დასანახავად.

## ფანდირი

გამქრალა წვიმა და ნისლი,
ავდარს დაეხშო კარები.
სუფთა ჰაერში გაისმის
სიმღერა აღფრთოვანების.

ფანდირის ფიქრი ნათელი
ჩემებრ ვინ იცის, აულო...
სულ მისი ხმები ისმოდეს
მამულის სასიხარულოდ!..

ოსურიდან თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ

თამარ პაპიაშვილი ინგილო ქალიშვილია. მან უმაღლესი განათლება თბილისში მიიღო და თბილისშივე დაიწყო სამსახური. თამარს უყვარს პოეზია და თავადაც წერს ლექსებს. ეს ლექსები უმღერიან მშვენიერ საინგილოს, საყვარელ თბილისს, ახალგაზრდულ გატაცებასა და ფიქრებს.

## გაზაფხულდა

გაზაფხულის მზე და სიო,
ოქროსფერი ყაისნალით,
დაჰქრის, ამბობს: ლექსი ვთქვიო,
ამოქარგა მინდორ-ბაღი.

საინგილოვ, ჩემო დებო,
აქ შევხარი სწორებს, ტოლებს,
მზეა ყველგან და მტრედებმა
უღრუბლო ცას გადუქროლეს.

დავალ, დამდევს ჩემი ლექსი,
როგორც წვიმა, როგორც ბედი,
გაზაფხულის სიტკბო შევსვი,
მესმა სუნთქვა თეთრი გედის.

ყოჩივარდა გადავკინძე,
მივიტანე ურთოლვით გულთან,
არაგველებს გავაღვიძებ:
წამოდექით, გაზაფხულდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა




# თეატრი 100 წლისაა




დიდი სამამულო ომის მრისხანე, დაძაბული დღეები...

ქალები თავაუღებლად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე. ეს დღისით, საღამოთი კი ისინი შუქშენილბული თეატრის სცენიდან მგზნებარე სიტყვას ამბობენ ზურგში დარჩენილთათვის. ფრონტელთა და დაჭრილთა გასამხნევებლად აგროვებენ საჩუქრებს, ამზადებენ ამანათებს... და კვლავ შრომა, კვლავ სცენა... ასე დაუღალავი, საყვარელი საქმის ერთგულნი არიან ისინი — მახარაძის მუშათა თეატრის ქალები. მათ უყვართ თავიანთი თეატრი, რომელსაც ტრადიცია დიდი აქვს, და ქვაკუთხედი 1868 წელს დაედო, ოზურგეთის ქართული სკოლის დასახმარებლად გამართული წარმოდგენისას. ეს იოლი საქმე არ იყო, განსაკუთრებით, წარმოდგენაში მონაწილე მსახიობი ქალებისათვის, რომელთა სცენაზე გამოჩენაც ალბათ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა იმდროინდელ საზოგადოებაში. ვინ იცის, რამდენი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდათ ვისია (ვისილა) თავდგირიძესა და მარო ნაკაშიძეს, რომ 1890 წელს, მეველეს სამმოქმედებიან კომედიაში — „კალანდობა" — მონაწილეობა მიეღოთ. ეს ქალები, 1898 წლამდე, სცენას მაინც არ ჩამოშორებიან და სისტემატურად იღებდნენ წარმოდგენებში მონაწილეობას. ახლა მათ მხარში ამოუდგნენ მარო, ანიკო და ანაიდა ლოლუები, დ. ჩხატარაშვილი, მ. ლომჯარია, ნ. ხიტირი. მათ მშვენივრად ითამაშეს გ. ერისთავის „ძუნწში". იმ წლებში, ოზურგეთის სცენისმოყვარე ქალთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ატატო ბებურიშვილი, რომლის შესახებ, ერთერთ თეატრალურ მოგონებაში ვკითხულობთ: „ერთი ახოვანი ვინმე იყო, რომელიც იშვიათის ეშხით უკრავდა როგორც გიტარაზე, ისე დაირაზე და თავისი დაწერილი ლექსებით ხშირად გამოდიოდა საზოგადოებაში"... ატატო ბებურიშვილის ხანუმა (ა. ცაგარელის ამავე სახელწოდების კომედიაში) მაყურებელს მეტად მოსწონდა თურმე.

ქალთა ამ პლეადას მალე შეემატა ნიჭიერი სცენისმოყვარე და შემდეგში პროფესიონალი მსახიობი — ეველინა წუწუნავა, რომლის მუშაობა ქართულ სცენაზე მეტად ხანმოკლე, მაგრამ დასამახსოვრებელი გამოდგა. მისი ქრისტინე (ე. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით) და სალიხე (ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე") იმდენად კარგი იყო, რომ ამ როლებს მსახიობის შემოქმედების შედევრად თვლიდნენ.

1898 წელს, ვისია თავდგირიძის ინიციატივით ოზურგეთში კვლავ იმართება საქველმოქმედო წარმოდგენები, სადაც სცენისმოყვარე ქალები დიდი გატაცებით თამაშობენ. აი, რას ვკითხულობთ ჟურნალ „კვალის" 1899 წლის 17 იანვრის ნომერში:

„ქ-ნო რედაქტორო! (იგულისხმება ან. თუმანიშვილი-წერეთლისა. მ. გ.) ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქ-ნ ატატო ბებურიშვილს, ქ-ნ გოგ. თავდგირიძეს, ქ-ნ პ. შარაშენიძეს, ქ-ნ ა. ჩხარტიშვილს და სხვებს, რომლებმაც საქველმოქმედო წარმოდგენაში (პიესის სახელწოდება უცნობია, მ. გ.) 29 დეკემბერს, ქ. ოზურგეთში მონაწილეობა მიიღეს და თავისი მშვენიერის თამაშით საზოგადოება ალტაცებაში მოიყვანეს...

გამგე წარმოდგენისა ვისია (ვისილა) თავდგირიძე".

მომდევნო 1899 წელს ოზურგეთის სცენაზე დ. ერისთავის ცნობილი დრამის — „სამშობლოს" დადგმა განახორციელეს. ქალთა როლები შეუსრულებიათ: ქეთევანი — მარო მდივანი (შემდეგში რესპუბლიკის სახალხო არტისტი); ფაიხოში — მარო ლოლუა; დედაკაცი — დ. ჩხარტიშვილი. წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღიათ მ. ლომჯარიასა და მ. ხიტირს.

თეატრის ცნობილ მოღვაწეთა გადმოცემით და საარქივო მასალების მიხედვით. შემდეგ წლებში ოზურგეთის სცენაზე თითქმის იგივე ქალები მოღვაწეობდნენ. 1914 წლისათვის მათ შეემატნენ ცეცილია წუწუნავა (შემდეგში რესპუბლიკის სახალხო არტისტი), პელო ქარცივაძე, მარო სიხარულიძე, ნადია თოთიბაძე და ნინო ჩიგოგიძე. ეს უკანასკნელი უანგაროდ ემსახურა ოზურგეთის დასს და მრავალი სეზონის განმავლობაში შეასრულა საპასუხისმგებლო როლები: „იუდას ამბორში" (კლეოპატრა), „საბედისწერო დამბაჩაში" (როდამისი), „სიძე-სიმამრში" (ქალიშვილი), „დატრიალდა ჯარაში" (მამიდა) და სხვა.

1918-19 წელს ოზურგეთის დასში მოვიდნენ ჟენია (ევგენია) მამულაშვილი, ბუჟუჟა და ბაბულია შავიშვილები. ნიჭიერი და მომხიბვლელი მსახიობი ქალი — ბუჟუჟა შავიშვილი ოზურგეთის სცენას 4 წელი ემსახურა, შემდეგ კი თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის ერთერთი წამყვანი მსახიობი იყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე, ქართული თეატრის ბედი წალმა დატრიალდა. ყოველი დასი ახალი ენთუზიაზმით შეუდგა თავის საქმეს, გაამდიდრა და განაახლა რეპერტუარი. 1921 წლის 8 დეკემბერს, ოზურგეთის სახელმწიფო რევოლუციურ-დრამატულმა დასმა (როგორც ამიერიდან ეწოდა დასს) ი. გედევანიშვილის რევოლუციური დრამა: „მსხვერპლი" წარმოადგინა. „მსხვერპლს" მოჰყვა ია ეკალაძის ოთხმოქმედებიანი დრამა „№ 21 ჯვრით". ამ დროს თეატრის დასში ირიცხებოდნენ შემდეგი მსახიობი ქალები: ელენე აბაზაძე-არეშიძისა, ტ. ბლაგიძისა, თ. გოგიბერიძე, თ. დოლიძისა, ვ. დოლიძე, თ. დუმბაძე, მ. კომახიძე, უ. მამულაშვილი, ნ. ნაკაშიძისა, მ. სიხარულიძე, ქ. სიხარულიძე, პ. ქარცივაძე, ს. ქარცივაძე და ბ. შავიშვილი. ქალთა ეს პლეადა უანგაროდ იღწვოდა. როლებს ლამპის შუქზე სწავლობდა, რადგან ელექტროენერგიას მხოლოდ წარმოდგენის დროს ხარჯავდნენ. მათ დასახმარებლად და გასამხნევებლად ოზურგეთის სამაზრო კომიტეტმა მრავალი ღონისძიება გაატარა. თეატრს დაენიშნა ზოგიერთი მხატვრული და ტექნიკური პერსონალის შტატი, რეკვიზიტისა და გარდერობის შესაძენად გაეწია მატერიალური დახმარება და სხვა. თეატრში მოვიდა მსახიობ ქალთა ახალი წყება: შუშანა არონიშიძე, თამარ ბილიხოძე, ქსენია გორდელი-თალაკვაძე, შურა ხომერიკი.

1924-25 წლების სეზონში აქ, ბათუმის თეატრიდან მსახიობი ქალი საშა გარნელი მოიწვიეს, რომელმაც „ოიდიპოს მეფეში" იოკასტას როლი შეასრულა. საერთოდ ამ სეზონს მრავალი აფიშა ამშვენებს. აი, ერთი მათგანიც: „ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი. 1925 წლის 16 აგვისტოს, კვირას, წარმოდგენილი იქნება ძლიერ მხიარული, აზიური ოპერეტა „არშინ მალ-ალან". ამ დადგმაში ქალთაგან როლებს ასრულებდნენ გულჩორა — ნ. ჩიჩუა, ასია — ზ. ჭეიშვილი, თელი — ს. გარნელი, ხალა — ა. მიქელაძე.

ოზურგეთის მუშათა თეატრმა, პროფკავშირულ კლუბებთან ერთად, კომკავშირის სამაზრო კომიტეტის ხელშეწყობით, 1927 წელს ჩამოაყალიბა სატირის თეატრი —

„ლურჯხალათიანები“. „ლურჯხალათიანები“ მაყურებელს უჩვენებდნენ მახვილი იუმორით სავსე პატარა პიესებს. ასეთი იყო გ. ბუხნიკაშვილის — „ლოზუნგების ალლუმი“ და „განსვენებული კიტრაძე“, ს. ერთაწმინდელის — „პროფწიგნაკი“, აკ. ულენტის — „ტელეფონის ხაზზე“ და სხ. სატირის თეატრის შემადგენლობაში შედიოდნენ ქალები: ფაცია კოპლატაძე, მ. ჩიჩუა, ნინო ჩოლაბარგია. აღსანიშნავია 1929-30 წლების სეზონში განხორციელებული დადგმა: „ტფილისი 24 საათში“, სადაც წარმატებით შეასრულა მთავარი როლი მსახიობმა ქალმა — რაისა რაისელმა.

1934-35 წლების სეზონში თეატრს უკვე „ოზურგეთის მუშათა თეატრი“ ეწოდა. ამ დროიდან დასში ირიცხებიან: ირა ზურაბაშვილი, ნუცა თაყაიშვილი, ფაცია შავიშვილი, ელენე ხავთასი; შემდეგში დასს შეემატნენ მსახიობი და ტექნიკური მუშაკი ქალები: ნინო მარაგოვა, ელისაბედ თალაკვაძე (მოკარნახე), თამარ აროშიძე, პატკუ გიორგაძე, ანა ანდღულაძე (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი), ოლია მოლარიშვილი, შურა გელაშვილი და თამარ მასლოვა (გარდერობის გამგე). 1939-40 წლის სეზონში თეატრში მოღვაწეობდა მსახიობი და რეჟისორი ქალი ნინო ჩიხლაძე.

მსახიობი ქალების: ლამარა თურმანიძის, ანა ანდღულაძის, შუშანა აროშიძის, შურა ცქიტიშვილის, მადლენა დონაძის, ლუბა კალანდაძის, ნუნუ ურუშაძის, ქეთევან ბოჭორიშვილის (ამჟამად გორის თეატრში მუშაობს )და სხვა მრავალ ქალთა მგზნებარე სიტყვა გაისმოდა დიდი სამამულო ომის წლებში თეატრის სცენიდან. მათი გული სავსე იყო მამულისა და თავიანთი კეთილშობილური საქმისადმი სიყვარულით. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გადაიტანეს მათ ის მძიმე წლები და გამარჯვებას დიდი სიხარულით შეხვდნენ. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა, მრავალი ახალი სიხარული და წარმატება მოუტანა ამ წლებმა თეატრს, სადაც უფროს, გამობრძმედილ თაობასთან ერთად მას ემსახურება ახალგაზრდობა: ზაირა როინიშვილი, ეთერ მუჩიაური, ვიოლეტა პაქსაშვილი, ზაირა კალანდაძე, თინა შონია, ნუნუ ბურჭულაძე და სხვები. ისინი შემოქმედებითი მიღწევებით ხვდებიან მშობლიური თეატრის 100 წლისთავს, რომელიც ა. წ. აპრილში სრულდება, ხვდებიან სადღესასწაულო, თეატრალური ზეიმით აღსავსე სპექტაკლებით.

მიხეილ გოლიაძე

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია ულოცავს მახარაძის თეატრის კოლექტივს სახელოვან იუბილეს. მადლობის გრძნობით აღნიშნავს მის დიდ დამსახურებას ქართული თეატრალური კულტურის წინაშე და უსურვებს ზრდასა და განვითარებას, მრავალ შემოქმედებით წარმატებას ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.



თეატრის შენობა

„მე ვხედავ მზეს“





ტატო მებურიშვილი

„ცომბირის მამა“





„შაითან ხიხა“

ფოტო ვ. ბაბოვისა



# ასე გავიდა 80 წელი

კარადის თაროებზე მწკრივად ჩალაგებულა საქაღალდეები. მათ ყოველდღიურად რამდენიმეჯერ ეხება ადამიანის ხელი. ხან ერთს გადმოიღებს, ხან მეორეს. რაღაცას ჩაუმატებს... შეასწორებს... ყველაფერი შესაფერ საქმეში, რიგზე უნდა იყოს ჩაკრული. საკანცელარიო მუშაობა სიზუსტეს და თადარიგს მოითხოვს. ამა თუ იმ ცნობის პოვნა დაუყოვნებლივ უნდა შეძლო. ყველაფერი დღესავით ნათელი უნდა იყოს.

და ქეთევან ყურაშვილი, რომელსაც უკვე 80 წელი შეუსრულდა, 57 წელია ამ სიზუსტით მუშაობს. მუშაობს მოუღლელად... მისი კარადების თაროებზე მუდამ წესრიგია, საქაღალდეები ლამაზ მწკრივად ჩარიგებულა...

37 წელია, რაც ქეთევანი თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის კანცელარიის გამგეა. მისი სამუშაო დღე ძალიან ადრე — 8 საათზე იწყება და საღამოს 7 საათზე მთავრდება...

წლების მანძილზე ტექნიკუმის მიმღები კომისიის მდივანს ძალიან ბევრი, დაუნახავი სამუშაო აქვს... ყოველგვარი საბუთის გაფორმება მისი ხელით უნდა მოხდეს. მას ხშირად საპასუხისმგებლო მოვალეობანიც აკისრია. 20 წლის მანძილზე განუწყვეტლივ იღებს მონაწილეობას საბჭოებისა თუ სასამართლო ორგანოების არჩევნების მოწყობა-ჩატარებაში: თითქმის ყოველთვის საარჩევნო კომისიის მდივანია.

ქეთევანი კარგად იცნობს ტექნიკუმის ყველა სტუდენტის პირად საქმეს. ახსოვს, რომელ სტუდენტს რისთვის გამოეცხადა მადლობა თუ საყვედური... იცის თითოეულის ყოფაქცევის ამბავი...

მისი ლამაზი ხელთნაწერით 4.000-ზე მეტი დიპლომი შეივსო. სად არ შეხვდებით ამ ტექნიკუმდამთავრებულებს! მრავალი მათგანი ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი მეცნიერი, პარტიული მუშაკი, მოწინავე ადამიანია... მათ დავაჟკაცებაში, ადამიანური ღირსებების ჩამოყალიბებაში სათანადო წვლილი ქეთევანსაც მიუძღვის, ადამიანს, რომლის ფართო გული მუდამ ღიაა ახალგაზრდებისათვის, რომელიც მათთვის არასოდეს იშურებს კეთილ ღიმილს, ალერსიან სიტყვებს. და განა ახალგაზრდისათვის ცოტას ნიშნავს თბილი მოპყრობა, კეთილი სიტყვა?

ქეთევანს თავიდანვე უყვარდა ბავშვები. მისი მამა საინგილოში, კახის რაიონში მუშაობდა მასწავლებლად. დედამაც იქვე, საკუთარი ინიციატივით შემოიკრიბა კახის ბავშვები, დააწყებინა წერა-კითხვა და შეასწავლა ჭრა-კერვა...

ქეთევანმაც მშობლებს მიბაძა. დაამთავრა ბოდბეს სამასწავლებლო სკოლა თუ არა, 17 წლისამ მასწავლებლობა კახის რაიონის სოფელ ქეთუკლოში დაიწყო. ასწავლიდა დაწყებით კლასებს. ორი წლის შემდეგ ქალაქ ნუხაში გადაიყვანეს მასწავლებლად.

საინგილოში მასწავლებლები დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში, ატარებდნენ საუბრებს სწავლის სიკეთეზე, ჩაცმის კულტურის შესახებ, ყოველგვარ საჭირბოროტო საკითხზე... ქეთევანი მუდამ კარგი საქმის მოთავედ ითვლებოდა.

წლებმა თავისი გაიტანა, ძალა და ენერგია დააკლდა ქეთევან ყურაშვილს, მაგრამ კვლავ დიდი მონდომებით ემსახურება იმ საპატიო საქმეს, რასაც ადამიანები უბრალოდ — საკანცელარიო მუშაობას ეძახიან.

**ნანული არჩვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგილოთა ამაგდარი



მის ოჯახში ყოველთვის იყო რამდენიმე ობოლი ბავშვი, მეზობლის, ახლო ნათესავის ან სრულიად უცხოსი. ისინი მაშოს მზრუნველობით იზრდებოდნენ და, ადგილობრივი ჩვეულების თანახმად, აღმზრდელს მაშომამას ეძახდნენ (მამა ინგილოურად მამიდას ნიშნავს). ეს სახელი მაშოს ოჯახში ისე ხშირად ისმოდა, რომ საკუთარი შვილებიც კი დედას „მამას“ უწოდებდნენ. ამ სახელითაა მაშო ცნობილი თავის მეზობლებში, ახლო ნათესავებში, მის გაზრდილთა შორის, საერთოდ, სოფელში.

მაშოს ოჯახში აღიზარდნენ ძმები ვასილ და მოსე ტარტარაშვილები. პირველმა უმაღლესი განათლება მიიღო, ხოლო მეორემ საშუალო სკოლა დაამთავრა და კოლმეურნეობის მოწინავე მერგოლურია. სანახევროდ მის ოჯახში იყო ილია სულთანიშვილი, რომელმაც წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ამჟამად კახის საშუალო სკოლაში მოღვაწეობს. არც იურისტ ნოდარ ყულოშვილს დაკლებია მაშოს მშობლიური მზრუნველობა. მაშოს დედობრივი ამაგი ახსოვს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტს ვლადიმერ ჯანაშვილს და მრავალ სხვას.

მაშო ტარტარაშვილის საფიქრალი მუდამ ის იყო, თუ ვინ გაეგზავნა სასწავლებლად საშუალო ან პროფესიონალურ სასწავლებელში, ინსტიტუტში, უნივერსიტეტში.

ამ ოციოდე წლის წინათ თბილისში აღსაზრდელად ასამდე ინგილო უნდა ჩამოგვეყვანა. მათი შერჩევა მაშო ტარტარაშვილს დაევალა.

საღამო იყო. მანქანაში ჟრიამული იდგა. ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ თბილისისაკენ გამგზავრებას. სიბნელის გამო მათი აღრიცხვა ვერ მოხერხდა, ისე გამოვემგზავრეთ.

დილით, სიის ამოკითხვისას 50 ბავშვი ზედმეტი აღმოჩნდა. ამ „ზედმეტებს“ უკან დაბრუნება, რა თქმა უნდა, არ უნდოდათ. ჩვენც, ერთგვარი რისკით, ისინი თბილისში დავტოვეთ. განათლების მინისტრის მაშინდელი მოადგილის მარიამ ბურჯულაძის დახმარებით, ეს 50 ბავშვი სხვებთან ერთად საბავშვო სახლში მოვაწყვეთ.

ახლა ბევრი მათგანი პედაგოგია, ბევრი — ექიმი, აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი, ინჟინერი. ისინი, ბუნებრივია, მადლობელი არიან მაშო ტარტარაშვილისა და მარიამ ბურჯულაძის. ვფიქრობთ, მაშოც და მარიამიც კმაყოფილნი არიან თავიანთ ხელდებულთა საქმიანობით.

მაშო ტარტარაშვილი დიდხანს მუშაობდა კახის კოლმეურნეობის ბიბლიოთეკის გამგედ. თავდაპირველად მკითხველი ბიბლიოთეკაში იშვიათად შედიოდა, მაგრამ მაშო თვითონ მიდიოდა მკითხველთან საკოლმეურნეო ნაკვეთებზე, კოლმეურნეობის კრებაზე, ფერმაში თუ სახლში. მას თან მიჰქონდა წიგნები და ზოგჯერ ძალითაც ურიგებდა თავის არც თუ მაინცდამაინც ენთუზიასტ მკითხველებს.

ერთხელ მაშოს სახლში წვეულება იყო. ვახშამი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, რომ მაშომ ტანთ ჩაიცვა და წასასვლელად მოემზადა. სტუმრებმა გაკვირვებით შეხედეს, მაშომ კი მოიბოდიშა:

ახლა კოლმეურნეობის კრებაა. ამაზე კარგ დროს ვერ ვიშოვი. ჩემი მკითხველები, განსაკუთრებით ქალები, იქ იქნებიან. წავალ, წიგნებს დავურიგებ და მალე მოვალ. აქ ჩემს მოსვლამდე ძვირფას სტუმრებს არაფერი დააკლდებათო.

ამ რამდენიმე წლის წინათ სოფელ კახს თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი პროფესორი დავით ჩხიკვიშვილი ეწვია. მასთან საუბრის დროს მაშომ დაიჩივლა:

რა ვქნა, წიგნები ძალიან ცოტა გვაქვს. ჩვენს კიოსკში მარტო სახელმძღვანელოები მოდის. მეც საშუალება არა მაქვს, რომ თბილისში ჩამოვიდე და ვიყიდო ლიტერატურაო.

გავიდა სამიოდე თვე. მაშო ტარტარაშვილმა თბილისიდან მოზრდილი ამანათი მიიღო, გულისფანცქალით გახსნა და რას ხედავს... წიგნები.

1200-ზე მეტი წიგნი პროფესორ დავით ჩხიკვიშვილის თაოსნობით თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა გაუგზავნა კახის კოლმეურნეობის ბიბლიოთეკას. ამავე ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივმა წიგნები გაუგზავნა აგრეთვე ალიბეგლოს, ალიაბადის, მოსულის, ითითალის, ალათემურის და სხვა სოფლების ქართულ სკოლებს.

მეტი ხალისით დაიწყო მუშაობა მაშო ტარტარაშვილმა. მკითხველთა რიცხვმა იმატა. მაშოს აღარ სჭირდებოდა მათი ძებნა. დაინტერესებული მკითხველი თვითონ მიდიოდა ბიბლიოთეკაში.

ამჟამად მაშო ტარტარაშვილი პენსიონერია. მას შვილები უკვე დაბინავებული ჰყავს: რეზო ქიმიკოსია, ოლღა — ბიოლოგი. ორივენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილები არიან. მაშო შვილიშვილებს დატრიალებს თავს. პატარებიც, თავიანთი მშობლების მიბაძვით, დიდედას „მამას“ უწოდებენ. ოჯახმა, შვილიშვილების მოვლამ მაინც ვერ დააშორა იგი საზოგადოებრივ საქმეს. ინგილოთა ამაგდარი, ჩვეულებრივ, კვლავ სოფლის საზრუნავშია.

არჩილ ჯანაშვილი

# ორმოცი წელი ჩონგურთან



ჭიათურის მუშათა ცენტრალური კლუბი მაყურებლებითაა სავსე. სცენიდან ირხევა სევდიანი მელოდია. წუნარად ღუღუნებს ჩონგური, გურული ქალი დასტირის თავის ბედს, ჩონგურის ლარები და დარბაზი თანაბრად იზიარებს სევდას.

სიმღერა წყდება... დარბაზში კი ტაში ჰქუხს და არავინ იცის, თუ ვის ეკუთვნის იგი: ქრისტინეს როლის შემსრულებელ მსახიობს თუ კლუბის მეგარდეროზე გოგონას — ვერა ენუქიძეს, რომელიც კულისებში დამღეროდა ჩონგურს.

ეროვნული

მხოლოდ სანდრო კავსაძემ, ქართული ხალხური სიმღერების უბადლო ოსტატმა იცის, რა ხდება. იგი აღტაცებული მიდის ვერასთან და ღიმილით ეუბნება: „შენ ჩონგურის დაკვრაც გცოდნია, ვერიჩკა, შეკრიბე რამდენიმე გოგონა ჩვენი გუნდიდან, ასწავლე საჩონგურო სიმღერები და კონცერტის დროს შენი სახელით გამოვიყვან".

ვერამ მორცხვად დახარა თავი, აღელვა ძვირფასი ხელმძღვანელის სიტყვებმა; აქამდე, მისი გუნდის წევრი რომ იყო, ეს ახარებდა, და ახლა...

„ვაითუ შევრცხვე, არ გამიმართლოს"... ფიქრობდა შინისაკენ მიმავალი და თვალწინ ხუთი მეგობარი გოგონას სახე უტრიალებდა. მეორე დღესვე მოისხმო რჩეული ხუთეული და მუშაობას შეუდგა.

მალე, მაღაროელთა ქალაქის ქუჩებში გაკრულმა აფიშებმა ჭიათურელ მშრომელებს აუწყა, რომ კონცერტის დროს შესრულებული იქნებოდა სიმღერები ჩონგურზე...

კვლავ მღელვარე წუთები...

კვლავ მაყურებელთა ტაში... და ვერას სახელს უკვე სიყვარულით იხსენიებენ მთელ ჭიათურაში.

გადის დრო და, ვერა ენუქიძის ხელმძღვანელობით, ქ. ჭიათურაში, ცენტრალური მუშათა კლუბის მეჩონგურე ქალთა ანსამბლი დამოუკიდებლად მართავს კონცერტებს. 1937 წელს, პირველ რაიონულ ოლიმპიადაზე, რომელშიც 608 კაცმა მიიღო მონაწილეობა, ვ. ენუქიძის ანსამბლმა პირველი ადგილი დაიკავა და ფულადი ჯილდოც მიიღო.

ამის შემდეგ ანსამბლი გასტროლებს იწყებს მეზობელ რაიონებში და თავისი გამოსვლებით ხიბლავს საჩხერელ, ზესტაფონელ, ხარაგოულელ, ჩხარელ, ბაღდადელ და ქუთაისელ მაყურებლებს. გაზეთმა „ინდუსტრიულმა ქუთაისმა" მაღალი შეფასება მისცა მეჩონგურე ქალთა ანსამბლის გამოსვლას, რომელიც დიდი წარმატებით ასრულებდა ქართულ ხალხურ სიმღერებს.

40 წელზე მეტი გავიდა იმ დროიდან და ვერა ენუქიძე-გულიევას ოდნავადაც არ შენელებია სიმღერის სიყვარული. როცა ფურცლავ მის პატარა არქივს, გული სიამით გევსება: სხვადასხვა დროს მიღებული სიგელები და ჯილდოები ავსებს ამ არქივს.

ბევრი კარგი წამოწყების ავტორია ამაგდარი მომღერალი. მისი ხელმძღვანელობით, 1939 წელს, ზესტაფონში, რკინიგზელთა კლუბთან ჩამოყალიბდა რკინიგზელთა დიასახლისების ანსამბლი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა სარაიონო დათვალიერებაზე. ანსამბლმა 1945 წლამდე იმუშავა. შემდეგ ვერა ქუთაისში გადავიდა, სადაც მომღერალთა ჯგუფი შექმნა. ვერა ენუქიძე, ამავე დროს პარალელურად მუშაობდა რკინიგზის ქალთა საშუალო სკოლაში, ქალთა მეოთხე საშუალო სკოლაში, ქუთაისის პიონერთა სასახლეში, მუსიკალურად აფორმებდა მცირე ფორმის პიესებს და ხელმძღვანელობდა დრამატულ წრეებს.

დიდი ღვაწლი დასდო ვერა ენუქიძე-გულიევამ მშობლიური ზესტაფონის ახალგაზრდობის მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის საქმეს. ხანდაზმული მუსიკოსი მეტად კმაყოფილია, რომ მისი ყოფილი მოსწავლეები: იზა და აზირ ბოჭოიძეები, ნათელა ლეონიძე, ელდარ გეწაძე, იზა ცერცვაძე, ჯემალ მდივანი და სხვები სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ეუფლებიან ხელოვნების საყვარელ დარგს.

გ. ხიჯაკაძე

# სადაც ვცხოვრობთ, ვაშენებთ...

**(ვუპასუხებთ ჟურნალის შეკითხვას)**

რად გიყვართ თქვენი მხარე, როგორ იცვალა მან სახე, რა აშენდა, რა აშენდება მომავალში? — ამ კითხვით მიმართა გასულ წელს ჟურნალმა თავის მკითხველებს.

ჟურნალის შეკითხვას მაშინვე გამოეხმაურნენ ადამიანები. მოვიდა წერილები სოფლებიდან, ქალაქებიდან. ამ წერილებში ბევრია ნათქვამი საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, ამ წერილებიდან ჩანს, თუ როგორ იცვალა იერი სოფლებმა, როგორ გაიზარდა და განახლდა ქალაქები, როგორ შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს ხალხი.

და თითქოს გემოგზაუროთ საქართველოს ყველა მხარეში, თითქოს თავად ყოფილიყოთ იმ დიდი გარდაქმნების მოწმე, ისე ცოცხლად და გულწრფელად გვიამბობენ წერილები

...სოფელი ხამისკური ხობის რაიონშია. სოფელში ძირითადად მოჰყავთ ციტრუსები. დაფნა და ჩაი, ამ პატარა სოფელს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ ადამიანებმა კარგად იცხოვრონ და პატიოსნად იშრომონ: საშუალო სკოლა, კულტურის სახლი, საექიმო პუნქტი, სასადილო, ფოსტის განყოფილება, აფთიაქი, აბანო, — ყველაფერი ეს უკანასკნელ 10 წელიწადში შეიქმნა. კოლმეურნეობას ლამაზი კანტორა აქვს. სოფელში მრავალი ორსართულიანი კაპიტალური შენობაა. ყოველ მეხუთე მოსახლეს ტელევიზორი უდგას ბინაში.

...ვანის რაიონში ყველა მიგასწავლით სოფელ ციხესულორს. იგი ისეთი კეთილმოწყობილი ხდება, რომ შეიძლება ახლო მომავალში „პატარა ქალაქი" ვუწოდოთ.

...ზემო იმერეთში, წიფის გვირაბიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მდებარეობს სოფელი მოლითი. იგი ამაყობს ფერადი მარმარილოთი, რომლითაც მოაპირკეთეს თბილისის მეტრო. ეს ძვირფასი ქვა აქედან იგზავნება ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, იაპონიაში. სოფელი მდიდარია მინერალური წყლებით — სასმელითა და სამკურნალოთი, რომელთა გეოლოგიური ძიება კვლავ გრძელდება.

...სვანეთიდან ჩამოსულან მარგიანები ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარაში. ჩამოსულან და მოხიბლულან სოფლის კეთილმოწყობით, ლამაზი კულტურის სახლით, ქართული საშუალო სკოლით, საბავშვო ბაგითა და ბაღით, ეს სოფელი მათ უკვე შეიტკბეს, შეიყვარეს და ემაყებათ კიდეც იქ ცხოვრება.

...რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თბომავლის მემანქანე ცაცა გოლეთიანი ახლა რუსთავის მკვიდრად თვლის თავს. მან შორი გზა გამოიარა, სანამ აქ მოვიდოდა, დაუყვა სვანეთის ციცაბო ბილიკებს და დაესწრო რუსთავის დაბადებას. მის ხელში გაიზარდა ქალაქი, მის თვალწინ დავაჟკაცდა. მეტალურგიის და ქიმიის ქალაქი მარტო ცაცასთვის კი არა, ყველა ქართველისთვის საამაყოა.

აი, რას გვწერს მარიამ ქშუტაშვილი სიღნაღიდან:

თუ ძველად ბუნებრივი მდებარეობით თვალწარმტაცი სიღნაღი ჩამორჩენილი და მოუწყობელი იყო, ამჟამად მას ველარ იცნობთ, — სიღნაღმა სახე იცვალა, აშენდა სამსართულიანი შენობა სკოლისათვის, ახალი საცხოვრებელი ბინები მუშა-მოსამსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეებისათვის, მუშაობს მოზრდილთა საღამოს სკოლა, მოეწყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გაიხსნა მუსიკალური ტექნიკუმი, მუშაობს ორი საბავშვო ბაღი და ერთი ბავშვთა ბაგა. აქ არის ყრუ-მუნჯთა ინტერნატი, კულტურის სახლი, სარაიონო ბიბლიოთეკა. სიღნაღში მოეწყო კულტურისა და დასვენების პარკი, სტუმრებისათვის აშენდა სამსართულიანი სასტუმრო...

...ძველ დროში ბრილელ გლეხს ბევრჯერ დაუწყევლია თავი სიდუხჭირის გამო. მას ტანზე უხეში, ხამი ქსოვილის სამოსი ეცვა, ზურგზე მარილი ან ნავთი ჰქონდა მოკიდებული და მიდიოდა აჭარის გაუვალ გზებზე.

ახლა სოფელ ბრილში ბნელი ქოხმახების ნაცვლად ლამაზი, ორსართულიანი ოდა-სახლები წამოჭიმულა. საცალფეხო ბილიკების ნაცვლად სამანქანო გზები გაიყვანეს. აშენდა კლუბი, მაღაზია, ფურნე, საფერშლო პუნქტი, სკოლა, კოლმეურნეობის კანტორა... სოფელში ბევრია უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა. ბედნიერია ახლა ბრილელი გლეხი.

„...რევოლუციამდე სოფელ სანიორეში ძნელად თუ იპოვიდა ვინმე წერა-კითხვის მცოდნეს, გარდა მღვდლისა და მისი ქალიშვილისა. სანიორელების მაშინდელი გასართობი და კულტურის ცენტრი მხოლოდ ორი ეკლესია იყო. სად იყო მაშინ ეს ასფალტირებული გზები ან ეს ორსართულიანი სახლები. წარსულს ჩაბარდა სოფლის ოღროჩოღრო, ატალახებული ვიწრო ორღობეები. თუ წინათ სანიორელი ბავშვები მეზობელი სოფლის სკოლაში დადიოდნენ, ახლა სოფელშია სკოლა, ბაგა-ბაღი, ბიბლიოთეკა. კინოთეატრი, აბანო, საექიმო პუნქტი. სოფელში მრავალი შრომის მოწინავეა, მათ შორის შრომის გმირებიც. სოფლის მშრომელები წარმატებით შრომობენ საკოლმეურნეო ველ-მინდვრებზე. თითქმის ყველა სანიორელი საღამოს ტელევიზორის ეკრანთან ატარებს“, — გვწერს სანიორედან სათო ფარსადანოვა.

...გურიაში თითქმის ყველა სოფელი ლამაზია, ლამაზია სოფელი აკეთიც. ამ ბუნებრივ სილამაზეს აძლიერებს სამსართულიანი შენობა, რომელშიც მოთავსებულია კოლმეურნეობის კანტორა, ბიბლიოთეკა, კინოდარბაზი.

სოფელში აშენდა უნივერსალური მაღაზია, ახალი სკოლა, აბანო, ჩაის მიმღები პუნქტი. აკეთლებმა გაიყვანეს სასმელი წყალი, მალე აკეთის მშრომელები ფართო მოასფალტებულ ქუჩებში ივლიან და კიდევ უფრო უკეთ იცხოვრებენ.

აი, რას იწერება სოფელ შრომიდან ქ. გუდავაძე: „სოფელ შრომას ძველად მიქელგაბრიელი ერქვა. მიქელ-გაბრიელში მცხოვრებ გლეხებს სიღარიბე კარებიდან არ სცილდებოდათ. გზები უვარგისი იყო. სოფლად ექიმი არ იყო. ავადმყოფები ურმით მიჰყავდათ ოზურგეთში. ქალებს სამზადში სადილის მომზადებისას იმდენი ცრემლი სცვიოდათ, ას მიცვალებულზე რომ არ დაღვრიდნენ.

ახლა სოფელს სახელი შეეცვალა და შრომა ეწოდა. შრომელმა გლეხებმა ახალი სახლები დაიდგეს, გააშენეს ციტრუსები. ჩაი; შეიცვალა გლეხკაცის ცხოვრების პირობები, ჭრაქის მაგიერ ელექტრონათურები აციმციმდნენ, საჭმელს გაზის ქურებზე ამზადებენ, აქვთ საექიმო უბანი, სამშობიარო სახლი.“

წერილები ქალაქებიდანაც მოვიდა. მაგრამ ვინ არ იცის, როგორია დღეს ჩვენი დედაქალაქი, ან ინდუსტრიული ქუთაისი, ან ქართლის გული — გორი. ამ ქალაქებში ბევრი ყოფილა, ბევრს უნახავს მათი სახეშეცვლილი ქუჩები, მათი გიგანტური საწარმოები, კულტურის კერები, საცხოვრებელი სახლები. ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

ჩვენს წინ კიდევ ერთი წერილია. იგი ტყიბულის მკვიდრს დაუწერია. გადავხედოთ და გავიგოთ, რით ამაყობენ ტყიბულელები.

„ტყიბულში წინათაც ნახშირის საბადო იყო და ახლაც: სხვა რამ წარსულთან არაფერი აკავშირებს ქალაქს. ერთადერთი გზა, რომელიც ურმისათვის იყო განკუთვნილი. უფრო ტალახის მორევს მოგაგონებდათ. ახლა ასფალტიანი გზებით დაისერა ჩვენი ქალაქი. ლამაზად მორთული ხეივნებითა და სკვერებით მოიქარგა მისი ქუჩები. ქალაქს ამშვენებს შესანიშნავი ნაგებობანი — კულტურის სახლი, პიონერთა სასახლე, დასვენების პარკი, სტადიონი. განუწყვეტლივ მიედინება ჩვენი პატარა ქალაქიდან შავი ოქრო სხვადასხვა ქალაქებისაკენ. ზანზარებს ნაქერალას მთის გული, სადაც შრომობენ ჩვენი ქალაქის მკვიდრნი. ყოველდღიურად გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო გეგმები.

ჩვენს ლამაზ ქალაქს აქვს თავისი „მთაწმინდა“ — „ცხრა ჯვარი“, ამჟამად „რუსთაველის მთად“ წოდებული; იგი გუშაგად დაჰყურებს ქალაქს 1.400 მეტრის სიმაღლიდან.

თუ წინათ „ცხრა ჯვარის“ მთაზე შესაწირი და ორი დღის საგზალი მიჰქონდათ, ახლა იქ სანატორიუმია. ამ თვალწარმტაც პლატოსთან ავტობუსი აკავშირებს ქალაქს. მალე კი საბაგირო გზაც ამუშავდება. ღამით, როდესაც ქალაქში ილიჩის ნათურები აინთება, „ცხრა ჯვრის“ მთიდან ციცინათელასავით ანათებს ტელევიზიის მაღალი ანძა. ვცხოვრობ ასეთ ლამაზ ქალაქში, მოდი და ნუ შეგიყვარდება იგი“, — იწერება ტყიბულელი გუგული ქარქაშაძე.

და ასე... ყველას უყვარს თავისი მხარე, ის კუთხე, სადაც დაბადებულა, გაზრდილა, თავისი ხელით რაღაც უშენებია და აშენებს. სადაც ყველაფერია მისთვის, მისი კულტურული ცხოვრებისათვის; ეს ადამიანები კვლავ ბევრს შექმნიან, ეს ადამიანები კიდევ ისახელებენ თავს, და თუ დღეს მათ თავიანთ წერილებში აყვავებული საქართველო დაგვანახვეს, მომავალში კიდევ უფრო სხივმოსილსა და დიდებულს ვიხილავთ ჩვენს რესპუბლიკას.



# ქართველი ქალები უცხოეთში

გასულ წელს ჩვენს რედაქციას ეწვია პარიზში მცხოვრები ჩვენი ნიჭიერი თანამემამულე, ბალერინა ეთერ ფაღავა.

ამ სტუმრობის შესახებ, მკითხველებს მოვუთხრეთ ჩვენი ჟურნალის გასული წლის მეხუთე ნომერში.

ჟურნალი პარიზშიც გაიგზავნა. და აი, რამდენიმე ხნის წინ, მადლობის ბარათთან და თავის ფოტოსურათთან ერთად, ეთერმა მოგვაწოდა თავისი დის ქრისტინე ფაღავას ფოტო და მცირე ცნობა მისი საქმიანობის შესახებ.

ქრისტინე ფაღავა 24 წლისაა. დამთავრებული აქვს სორბონის უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტი.

გასულ წელს ქრისტინე მიწვეული იყო ბუქარესტის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად. იქვე დაწერა და შინ დაბრუნების შემდეგ დასაბეჭდად გადასცა შრომა თანამედროვე რომანის შესახებ. გარდა ამისა, მას გამოქვეყნებული აქვს შრომა შოთა რუსთაველზე და საჯარო მოხსენება თ. დოსტოევსკიზე.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულის სამეცნიერო მუშაობის გზის დასაწყისი საინტერესოა და ნაყოფიერი.

ვუსურვოთ მას წარმატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წარსულიდან**

# ეკატერინე ფორაქიშვილი-სარაჯიშვილი

1880 წლის 10 სექტემბერს ბორჯომში დიდი ქორწილი გაიმართა. ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი, ქართული კონიაკის წარმოების პიონერი, ქიმიურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი ჯვარს იწერდა ეკატერინე ივანეს ასულ ფორაქაშვილზე.

ეკატერინე ფორაქაშვილი დაიბადა 1862 წლის 27 იანვარს თბილისში. მამამისი, ივანე ადამის ძე ფორაქაშვილი, შეძლებული თბილისელი მოქალაქე, განთქმული იყო თავისი გონებამახვილობით. დედა, ნატალია იოსების ასული წილოსანი, შესანიშნავ მანდილოსნად ითვლებოდა.

პატარა კატომ ოჯახში, სპეციალურად მოწვეული აღმზრდელებისაგან, კარგი განათლება მიიღო. იგი ჯერ ფაგრის ცნობილ პანსიონში სწავლობდა, შემდეგ საგანგებოდ მოწვეული მასწავლებლები ამეცადინებდნენ. მას აღმზრდელად ჰყავდა ინგლისელი ქალი მისს პოპკინი. ეკატერინეს სულიერ ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა მისმა მამიდამ ნატო სულხანიშვილმა, რომელმაც კარგად იცოდა ძველი ქართული ოჯახის ადათ-წესები და მათი მტკიცე დამცველი იყო.

ეკატერინემ ზედმიწევნით კარგად შეისწავლა როგორც მშობლიური ენა, ასევე რუსული, ინგლისური, ფრანგული და გერმანული. იგი იყო არა მარტო ფრიად განათლებული, არამედ მეტად ზრდილი და ბუნებით მაღალგონიერი, სათნო, ოჯახის დიდი მზრუნველი, შრომისმოყვარე, მუყაითი და ლმობიერი, მარად კეთილისმყოფელი, ღარიბთა გამკითხავი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე.

მამულიშვილობა და მოქალაქეობა, აი, რა იდეას ემსახურებოდნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე ეს შესანიშნავი მეუღლენი. „უძეონი იყვნენ, მაგრამ ვინ მოსთვლის, რამდენი სასარგებლო ნიჭიერი წევრი აღუზარდეს სამშობლო ქვეყანას და მათგან დანატოვარი კიდევ რამდენ ასს სასარგებლო კაცს გაზრდის“, წერდა „თეატრი და ცხოვრება“.

სარაჯიშვილების სახლი მდებარეობდა სერგეევის, ამჟამად მაჩაბლის ქუჩაზე, სადაც დღეს მწერალთა კავშირია მოთავსებული. ეს ბინა გავდა ლიტერატურულ სალონს, სადაც სისტემატურად იყრიდნენ თავს ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. აქ წაიკითხა პირველად ილია ჭავჭავაძემ თავისი „განდეგილი“ და „ოთარაანთ ქვრივი“. 1905 წლის 3 აპრილს, როდესაც დიდი ცერემონიალით გაიხსნა ეს სასახლე, აკაკი წერეთელმა ექსპრომტად ლექსიც წაუკითხა შესანიშნავ ცოლ-ქმარს:

განგებამ მოგცათ სუყველაფერი!<br>
ნუ სწუხართ იმას, რომ ხართ უშვილო,<br>
ნუთუ არ კმარა შვილად და ძირად<br>
თქვენთვის სამშობლო და საქართველო!

უფრო ადრე კი ილიამ ეკატერინეს წარწერით თავისი პორტრეტი მიართვა:

ამ ლექსს გიწერ ჩემს სახსოვრად,<br>
შიგ გაგიხვევ მე ჩემს გულსა,<br>
საც ვინახავ, ვით მარგალიტს,<br>
შენსა დაძმურ სიყვარულსა.

ეკატერინე არ ჩამოუვარდებოდა თავის მეუღლეს ქვრივ-ობოლთა შემწეობის საქმეში. დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტები იყვნენ ქართველი ხალხის საამაყო შვილები: ვანო სარაჯიშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, მოსე თოიძე, კოტე ფოცხვერაშვილი, იაკობ ნიკოლაძე და მრავალი სხვა.

ეკატერინეც ასევე ნიჭიერი ახალგაზრდების მფარველი და იმედი იყო. მოსე თოიძის მეუღლის — ეკატერინეს ცნობით „მისი ერთმოსახელე მოსკოვში სტიპენდიას არ აკლებდა 5-6 ქართველ ქალს“. მან თავისი ხარჯით პანსიონში სასწავლებლად მიაბარა ივანე მაჩაბლის ობლად დატოვებული ვაჟი — ნიკო.

როდესაც დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი გარდაიცვალა (1911 წ. 20 ივნისი), მთელი მისი საქმიანობა, როგორც მეურნეობის გაძღოლა (მათ ჰქონდათ კონიაკის, ლიქიორისა და არყის საწარმოები თავისი სავაჭრო ქსელით, როგორც თბილისში, ისე ერევანში, ბაქოში, კავკავში, ყიზლარში, ბესარაბიაში და სხვა), ისე საქველმოქმედო საქმეები. ოჯახის მოვლა და სხვა, მთლიანად ტვირთად დააწვა ეკატერინე ივანეს ასულს. 50 წელს მიღწეულმა ქალმა დიდი შეუდრეკელობა და სიმხნევე გამოიჩინა და ხუთი წლის განმავლობაში შესანიშნავად უძღვებოდა მთელ საქმიანობას.

დავითის სიკვდილმა დიდად დაალონა ეკატერინე. მას უთქვამს: „მე დავკარგე ცხოვრების ნამდვილი თანამგზავრი, ჩემი მეორე მე, და ჩემი გულიც მასთან დაიკრძალაო“.

დავითი დიდუბის პანთეონში დაასაფლავეს და ეკატერინემ მის გვერდით თავისთვისაც გაიმზადა სამარე. ორივეს საფლავს ვარდ-ყვავილებით ამკობდა. „მეც აქ ვმარხივარო“, — იტყოდა ხშირად.

ეკატერინეს ურჩევდნენ, რომ ძეგლი დაედგა დავითისათვის საფლავზე. დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სტიპენდიანტმა, ახალგაზრდა იაკობ ნიკოლაძემ დავითის საფლავის ძეგლის პროექტიც კი შექმნა და წარუდგინა ეკატერინე ივანეს ასულს. არა, ჩემს დათიკოს, ჩემი ხელით ქვას ვერ დავადებო, — ამბობდა იგი. — ოდეს მოვკვდე, დამკრძალონ მის გვერდით და ორივეს მხოლოდ ერთი ქვა დაგვადგითო.

თუ საქართველოს ბრწყინვალე გვარის შთამომავალნი თავიანთ მამა-პაპეულ მამულ-დედულს ბანკებში აგირავებდნენ ან ჰყიდდნენ, „მოქალაქის ქალი და მოქალაქის ცოლი ეკატერინე მომჭირნეობით ცხოვრობდა, სიმდიდრეს თავს უყრიდა, რომ ბოლოს მთელი ერისათვის მიეძღვნა“.

რაც შეეხება ნადიმებს, იგი ქმრის სიკვდილის შემდეგაც მართავდა თავის სასახლეში. მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ საქვეყნო საქმეებზე ელაპარაკნათ. მას ის დღე მიაჩნდა ბედნიერ დღედ, როცა კეთილ საქმეს მოაგვარებდა.

1916 წლის 24 მაისს ეკატერინემ თავის სახლში დიდი შეხვედრა მოუწყო საიმპერატორო თეატრის დამსახურებულ არტისტს ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილ-იუჟინს, სადაც ახალგაზრდა პოეტმა ი. გრიშაშვილმა ექსპრომტად ლექსიც მიუძღვნა ძვირფას სტუმარს.

1916 წლის ზაფხულში ეკატერინე სააგარაკოდ იყო კისლოვოდსკში. მან იქ გაიგო, რომ უპირებდნენ თბილისში სახლის ჩამორთმევას და მის გამოყენებას სამხედრო საჭიროებისათვის. ამ ამბავმა დიდად იმოქმედა ეკატერინეზე, იგი თბილისისაკენ გამოემგზავრა და 1916 წლის 5 აგვისტოს, დილის ხუთ საათზე გზაში გარდაიცვალა თავისი ძმის ადამ ფორაქაშვილის ხელში. 11 აგვისტოს განსვენებულის ნეშტი თავისი ქმრის გვერდით — დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

განსვენებულის ანდერძის თანახმად კუბო გვირგვინებით არ შეუმკიათ. მეუღლის მსგავსად, ეკატერინე ივანეს ასულმა ქონების უდიდესი ნაწილი, რომლის ღირებულება სამ მილიონ მანეთს შეადგენდა, უანდერძა თავის ერს. ანდერძის აღმასრულებელნი იყვნენ ადამ ივანეს ძე ფორაქაშვილი, დავით ილარიონის ძე ფორაქაშვილი, ალექსანდრა თევდორეს ასული სარაჯიშვილი და გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი.

ანდერძის თანახმად ქონება შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

1. 500 ათასი მანეთი — წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. გარდა ამისა. ამ საზოგადოებას ეკატერინე ივანეს ასულმა დაუტოვა 90 ათასი მანეთი პროცენტიანი ქაღალდები, რომლებიც მისი ძმის ვასილ ივანეს ძე ფორაქაშვილის გარდაცვალების



შემდეგ, 1919 წელს, გადაეცა ამ საზოგადოებას;

2. 200 ათასი მანეთი — ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას;

3. 150 ათასი მანეთი — ქუთაისის თეატრის ასაშენებლად;

4. 25 ათასი მანეთი — ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას;

5. 50 ათასი მანეთი — თბილისში პოლიტექნიკური ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად;

6. 30 ათასი მანეთი — კავკავის (ორჯონიკიძე) ღარიბ მოსწავლეთათვის (განურჩევლად ეროვნებისა) სწავლის ქირის გადასახდელად.

7. 25 ათასი მანეთი — საქართველოს საეთნოგრაფიო საზოგადოებას წიგნების გამოსაცემად;

8.100 ათასი მანეთი — თბილისის ქართულ დრამატულ საზოგადოებას;

9. 10 ათასი მანეთი — სამიწათმოქმედო სახელოსნოს ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოებას.

10. 171 ათასი მანეთი — სარაჯიშვილის ფირმის მუშა-მოსამსახურეებისათვის;

11. 5 ათასი მანეთი — ქართული ფილარმონიის საზოგადოებისათვის;

12. 20 ათასი მანეთი — ქართულ სიტყვაკაზმულ მწერალთა საზოგადოებას, ახალი ქართული ორიგინალური ბელეტრისტული ნაწერებისათვის პრემიის დასანიშნავად;

13. 50 ათასი მანეთი — ავლაბარში საპროფესიო სკოლის დასაარსებლად და შესანახად;

14. 10 ათასი მანეთი — მოსკოვის ქართულ საზოგადოებას;

15. 10 ათასი მანეთი — დიდუბის ტაძარს;

16. 5 ათასი მანეთი — რუსეთის მევენახეობისა და მეღვინეობის საზოგადოების სადგურს ოდესაში;

17. 200 ათასი მანეთი — ქირურგიული საავადმყოფოს ასაშენებლად თბილისში.



ე. ფორაქიშვილი და დ. სარაჯიშვილი

დიდძალი თანხა გადაეცა აგრეთვე საქართველოს ტაძრებს, მონასტრებსა და ეკლესიებს.

ზემოაღნიშნულ სამ მილიონ მანეთს ემატებოდა კიდევ მთელი ქარხნებისა და სავაჭრო დაწესებულებათა ორ მილიონამდე ქონება, რომელთა ლიკვიდაციის შემდეგ, ანდერძის მიხედვით, მთელი თანხა უნდა გადასცემოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ, საისტორიო-საეთნოგრაფიო და თბილისის დრამატიულ საზოგადოებებს.

როგორც დავით ზაქარიას ძის, ისე ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილის ანდერძი პრაქტიკულად განხორციელდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს, რაც უნდა აიხსნას იმდროინდელი ომითა და არეული მდგომარეობით.

ეკატერინე ივანეს ასული ისეთივე დიდი ცერემონიალით დაკრძალეს, როგორც მისი მეუღლე — დავით სარაჯიშვილი. სიტყვები წარმოთქვეს ქართული დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარემ აკაკი ფაღავამ, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორმა ი. იმედაშვილმა და სხვებმა. სამძიმრის დეპეშები კი ყველა მხრიდან იქნა მიღებული. ერთ დეპეშაში ალ. წუწუნავა და ვ. გოცირიძე აღნიშნავდნენ: „ულრმესი პატივისცემით მუხლს ვიდრეკთ ეკატერინე ივანეს ასულის ცხედრის წინაშე, როგორც სამშობლოს ღირსეული დედის წინაშე“.

ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. ჩიქოვანი ამბობდა: „იმერელს, როგორც ყველა ქართველს, უყვარს თავის თეატრში სიარული და როდესაც შენის საშუალებით აშენებულ თეატრში შევა, უმაღლესი მამულიშვილური გრძნობებით აღივსება იგი და შენს ძვირფას სახელსაც მაშინ მადლობით მოიხსენიებს“.

იმდროინდელ გაზეთებსა და ჟურნალებში („საქართველო“, „სახალხო ფურცელი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკასკაია რეჩი“, „ჯეჯილი“, „ვესტნიკ ვინოდელია“ და სხვა) უხვად იყო მოთავსებული წერილები და სტატიები დიდი ქველმოქმედი ქალის შესახებ.

ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილის პატრიოტულ საქმიანობას ყოველთვის მადლიერებით მოიხსენიებს ქართველი ხალხი.

**ა. სტეფანიშვილი**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## გამოხმაურება გ. ყურაშვილის წერილზე— „ანატოლის ბედი“

# კეთილი კაცის ზეიმი

ჩვენი ჟურნალის ცხოვრებაში დიდი ხანია დამკვიდრდა მკითხველებთან გულახდილი საუბრის წესი. თითქმის ყოველ დღე ფოსტას მოაქვს ათობით წერილი. წერილები დაწერილია სხვადასხვა პროფესიის, ასაკის, მისწრაფების, სხვადასხვა სულიერი სამყაროს ადამიანების მიერ. ისინი მოგვითხრობენ თავიანთ ცხოვრებაზე. ჭირ-ვარამზე, საზრუნავზე, ოცნებებზე. გვთხოვენ რჩევას, დახმარებას, ჟურნალის ფურცლებზე გულისნადების დასტამბვას. ყველაზე უხვად კი წერილებს მაშინ ვღებულობთ, როცა რაიმე სადისკუსიო, პრობლემატურ საკითხს ვაყენებთ, ან ვინმეს ცხოვრებისეული გასაჭირი გამოგვაქვს საჯაროდ.

გასული წლის ოქტომბერში ჟურნალში დაიბეჭდა გიგა ყურაშვილის ნარკვევი „ანატოლის ბედი“. ნარკვევში მოთხრობილი ნამდვილი ამბავი. მართლაცდა შეძრავდა ადამიანის გულს. მაგრამ ასეთ რეაქციას მაინც არ მოველოდით, ზევით მოგახსენეთ: წერილები განსაკუთრებით მაშინ მოდის უხვად, როცა სადისკუსიო საკითხს წამოვჭრითმეთქი. ამ წერილში კი ყველაფერი თავის ადგილზე იყო. მაგრამ როგორც რედაქციამ, ასევე თვითონ ანატოლი სადოვნიკოვმა უამრავი წერილი მიიღო. თუმცა საქმე წერილების რიცხვში როდია! — არ შეიძლება რომელიმე მათგანი აუღელვებლად წაიკითხოთ, არ შეიძლება იმიტომ, რომ უსაზღვროდ გვახარებს ჩვენი თანამემამულეთა დიდი მოსიყვარულე გული. ეს წერილები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზეიმია კეთილი კაცისა, რომელსაც თავისი ცხოვრების მაღალ მიზნად სხვისი ბედნიერება გაუხდია, როცა ამ წერილებს კითხულობ, სრულიად გავიწყდება, თუ არსებობს სადმე შური, შური, ავკაცობა.

განა შეიძლება, უცრემლოდ წაიკითხო წერილი (სულაც არ გვეშინია თუ ვინმე სენტიმენტალობას დაგვწამებს!) ღრმად მოხუცი წალვერელი არჩილ ხუციშვილისა, რომლის ბინაზე, თურმე, მარიამ ლომთაძე, თავის ტოლიკასთან და ყველა აღსაზრდელებთან ერთად, ისვენებდა.

„ანატოლი, — წერს პატივცემული არჩილი, — თუ, ვინიცობაა, ბორჯომისკენ მოგიხდეს წამოსვლა, ამოდი წალვერში, იმ საწოლს გაჩვენებ, რომელზეც შენ და მარო იწექით.

...ჩამოდი, გაგახსენებ შენს პატარაობას... თუ შენ ვერ ჩამოხვალ, მე გნახავ... — და ბოლოს: — ანატოლი, არ დამძრახო ნაწერზე. ძალზე მოხუცი ვარ“.

ანატოლიმ მიიღო ზუგდიდელი ვალიდა ლატარიას წერილი. ვალიდა სადოვნიკოვს ატყობინებს, რომ მიხეილ სადოვნიკოვი (ტოლიკის მამა) მისი ბიძის, აწ განსვენებული ძუკუ სვირავას სახლში ყოფილა ომის წლებში თავის ოცეულთან ერთად დაბინავებული. და ისე დამეგობრებია ამ ოჯახს, რომ როცა მისი ცოლის დაღუპვის ამბავი შეუტყვიათ. ქართული მოთქმა-გოდებით გამოუგლოვიათ იგი.

ვრცლად გვინდა მოვიყვანოთ ადგილები შოთა ბრეგვაძის წერილიდან.

„ძმაო ანატოლი! არ გაგიკვირდეს ჩემი წერილი. ძალიან შორებლად ნუ ჩამთვლი...

მე იმავე უდედმამო ბავშვთა სახლში გავიზარდე, სადაც შენ იზრდებოდი. დღევანდელ დღესავით მახსოვს, როგორ მოგიყვანა 27-30 წლის შავგვრემანმა სამხედრო პირმა და ჩაგაბარა მარო დეიდას. როგორ შეგიყვარა შვილივით ქალიშვილმა ქალმა, რომელსაც ჩვენ — აღსაზრდელები დეიდა მაროს ვეძახდით.

ბევრჯერ ვარ ნამყოფი მარო დეიდას სახლში. კარგად მახსოვს იმ ბიის გემო. ღობესთან რომ ხარობდა. იმ ბიის ხის ნაყოფი ყოველ წელს მეც მერგებოდა ხოლმე. რა მზრუნველი ადამიანი იყო მარო დეიდა!

...ამჟამად მე ადლერში ვმუშაობ სამგზავრო მატარებლის უფროსად ადლერ-მოსკოვის ხაზზე. რკინიგზის ტექნიკუმი დავამთავრე. პროფესიით კი ელმავლის მემანქანე ვარ...

მშვიდობით ძმაო! **შოთა ბრეგვაძე**“.

აი, კიდევ ერთი ნათელი პიროვნება იმ საბავშვო სახლიდან. შოთას ობოლ გულშიც ჩაუშუქებია მარიამ ლომთაძის დედობრივ სხივს. კიდევ ერთი დადასტურება ჩვენი შესანიშნავი წყობისა, სადაც არ არსებობენ ობლობით გზააბნეულნი. აქ ყველას თავისი ადგილი და მიზანი აქვს.

ტოლიამ მიიღო ბარათი ვენერა ბერუაშვილისაგან, რომელიც აგრეთვე, მასთან ერთად იზრდებოდა საბავშვო სახლში.

არის რამდენიმე კოლექტიური წერილიც. „ანატოლის ბედმა“ ისეთი რეზონანსი მიიღო, რომ მკითხველებს ერთობლივადაც გამოუხატავთ თავიანთი სურვილები. აი, რას იწერებიან თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევის საშუალო სკოლის პიონერები: „პატივცემულო ანატოლი მიხეილის ძევ! გთხოვთ თიანეთის რაიონის, სოფელ სიმონიანთხევის საშუალო სკოლის პიონერები მოინახულოთ თქვენი მშობელი დედის საფლავი, ნურც თქვენს მოხუც მამას გაებუტებით, რომელმაც მკერდით დაიცვა ჩვენი სამშობლო, ჩვენ და თქვენს შვილს თავისუფლება მოგვიტანა“.

ქების მეტი რა გვეთქმის თიანეთელი პიონერებისადმი. განა სასიამოვნო არაა პატარების ასეთი რეაქცია!

„მარიამ ლომთაძემ უკვე დაიდგა სამარადისო ძეგლი, როგორც ღირსეულმა, დარბაისელმა ქართველმა ქალმა, როგორც მოსიყვარულე დედამ და ერის მოწინავე ადამიანმა. მე რომ ვინმემ მკითხოს რჩევა, ვუპასუხებდი, წააწერეთ ამ ძეგლს მისივე სიტყვები: „შვილო ჩემო, შენ ჩემი ცხოვრების სანთელი ხარ!“ მამაკაცებო, აბა, წაიკითხეთ ეს სიტყვები აუღელვებლად!

ამ წერილის ავტორია ცხაკაიას რაიონული გაზეთის „კოლხეთის“ რედაქტორის მოადგილე ბ. მილიუტინი, და მგონი, არავითარ კომენტარს არ საჭიროებს.

რედაქციამ უნდა აცნობოს თავის პატარა თიანეთელ მეგობრებს, პატივცემულ მილიუტინს და სხვებს, რომ ანატოლიმ უკვე იპოვა დედის საფლავი და ქართული წესით დაიტირა იგი. მის ნამდვილ დედასაც მარიამი რქმევია (რა შესანიშნავი დამთხვევაა!). რაც შეეხება მამას, იგი თავად ჩამოსულა შვილთან.

გვინდა ნაწყვეტი მოვიყვანოთ კიდევ ერთი კოლექტიური წერილიდან:

„გამოღმა არგვეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ საშუალებით გავიგეთ თქვენი ვინაობა... ყველას ცრემლები მოგვერია, მოგვაგონდა ომის წლებით მიყენებული ტანჯვა. ორთავემ იცოცხლეთ და იხარეთ აწ მაინც. ვუსურვებთ თქვენს შვილს მარიამს, რომელიც თავისი კარგი ბებიების სახელს ატარებს, სიხარულსა და ბედნიერებას.

აღარასოდეს შესწრებოდეს თქვენი თაობა ომის საშინელებას“.

კოლმეურნეების სახელით წერილს ხელს აწერს ნინო კიპაროიძე.

ვათვალიერებთ წერილებს, რომელთაც ხელს აწერენ ზინა იმედაძე, ნანული ლორია, მაყვალა აბულაშვილი, ქრისტინე კოკოზაშვილი, ეთერ ლობჟანიძე, ლ. კლდიაშვილი, თ. დევიძე და სხვები, და გვინდა საბოლოოდ დავძინოთ: რამდენი კარგი კაცია ქვეყნად, რამდენი კეთილი საქმე! რა შესანიშნავია, როცა მშვენიერი სულის ადამიანები მჭიდრო კავშირს ამყარებენ ერთმანეთთან, თუნდაც აი ასე, პრესის საშუალებით.

წარმოიდგინეთ ყველა ავი საქმის წინააღმდეგ მჭიდროდ შეკრული ასეთი თბილი ხელები — ეს იქნებოდა სიკეთის ნამდვილი ზეიმი!!!

# ჩვენი საოჯახო კლუბი

დაკეტილია და ყველა ეს წითელი კუთხე და ყველა სხვადასხვა საზოგადოება წმინდა ფორმალიზმია. ყველაფერი ეს 2-დან 5 საათამდეა და მერე, საღაც გინდა, იქ წადი“....

შევეკითხე, ამ „საზოგადოებაში“ ვის გულისხმობთ-მეთქი, თურმე იმათ, ვინც საქმიანობს ბავშვებთან, ატარებს მათთვის სხვადასხვა ღონისძიებებს — პენსიონერებს, აქტივისტებს, დიასახლისებს, კლუბის მუშაკებს...

მერე თქვენ, დედებო და მამებო, განა თქვენ არ წარმოადგენთ საზოგადოებას? განა თქვენ არ უნდა დაუთმოთ დრო თქვენს შვილებსა და მათ ამხანაგებს? განა თქვენ არ უნდა მოიწვიოთ ისინი თქვენთან, ისაუბროთ მათთან?

ჩემს სიტყვებზე ჩემი თანამოსაუბრე ძალიან აღშფოთდა და ანერვიულებულმა მიპასუხა:

„მე არ შემიძლია, ჩემი ბინა სხვისი შვილების კლუბად გადავაქციო. ჩვენ ხომ უსაქმურები არა ვართ, ჩვენც ვმუშაობთ, ვიღლებით, ჩვენც გვინდა დასვენება...“

მაგრამ განა ბავშვების აღზრდას სპეციალურად გამოყოფილი საათები უნდა? გავიხსენოთ ლუბა კოსმოდემიანსკაიას (ზოიას დედის) სიტყვები:

„მე დრო არა მაქვს ბავშვების აღსაზრდელად, მთელი დღე სამსახურში ვარ,“ — ხშირად მესმის მშობლებისაგან და ვფიქრობ, განა ბავშვების აღსაზრდელად განსაკუთრებულად გამოყოფილი საათებია საჭირო? აღზრდა ყოველ წვრილმანშია — ყოველ შენს მოქმედებაში, მზერაში, სიტყვებში... როგორ მუშაობ, როგორ ისვენებ, როგორ ელაპარაკები მეგობრებს და ამხანაგებს, როგორი ხარ შენ — ჯანმრთელი და ავადმყოფი, მწუხარებასა და მხიარულებაში — ყველაფერს შენიშნავს შენი შვილი და ყველაფერში მოგბაძავს. მაგრამ, თუ შენ გავიწყდება იგი, მისი მუდამ შენსკენ მომზირალი თვალები, რომლებიც შენს მოქმედებაში გამუდმებით ეძებენ რჩევასა და მაგალითს, თუ კი ბავშვი იზრდება შენს გვერდით მაძღარი, ჩაცმული, მაგრამ მარტო, მაშინ ვერაფერი ვერ უშველის მის სწორ აღზრდას, არც ძვირფასი სათამაშოები, არც სხვა გასართობები. შენ, მხოლოდ შენ უნდა იყო შენს შვილთან მუდმივად, ის მუდამ უნდა გრძნობდეს შენს სიახლოვეს“.

ვისაც სურს შვილი ჩვენი საზოგადოების ღირსეულ მოქალაქედ აღზარდოს, მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ არასოდეს დატოვოს ის უმეთვალყურეოდ, უნდა იცოდეს, რა უყვარს და რა აინტერესებს მის შვილს, ვისთან მეგობრობს, ვისთან ერთობა, რას კითხულობს და როგორ ითვისებს წაკითხულს, რა სიძნელეები ხვდება სკოლაში და პირად ცხოვრებაში, როგორ უჭირავს თავი სკოლაში და სკოლის გარეთ.

„კარგი აღზრდა მოითხოვს, რომ დედის თვალმა ყოველდღე და ყოველ საათს ბავშვის თვალებში, ბაგეებსა და შუბლზე შეუცდომლად ამოიკითხოს მისი სულიერი მდგომარეობის ყოველი ცვლილება“, — ამბობს გ. პესტალოცი.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ბელინსკის სიტყვებიც:

„ რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო უშუალო უნდა იყოს მისი ზნეობრივი აღზრდა, ე. ი. კი არ უნდა ვასწავლოთ, არამედ უნდა მივაჩვიოთ კარგ გრძნობებს, მიდრეკილებას და მანერებს“.

იმისათვის, რომ ბავშვი მივაჩვიოთ პატიოსნებას, სიმართლეს,

## აღზრდის ხელოვნება

# ჩვენი ბავშვები

შარშან, არდადეგების დროს, თემური და მისი ამხანაგები ფულზე ბანქოს თამაშისათვის დააკავეს. ამჯერად.... კვირა დღეს თემურთან სახლში მივიდნენ მეზობლის ბავშვები. თემურს უნდოდა მათთან ერთად გამოემჟღავნებინა წინა დღით გადაღებული სურათები, მაგრამ დედამ იატაკზე ბავშვების ფეხის მტვრიანი ნაკვალევი რომ დაინახა, შეწუხდა: „ბიჭებო, აჰა, კანფეტები, წადით, ეზოში, სუფთა ჰაერზე გაისეირნეთ“.

როცა ბავშვებს ეზოში ყოფნა მოსწყინდათ, გადაწყვიტეს, სანაპიროზე გაევლოთ.

სანაპიროზე ისინი სკამზე წამოწოლილ ნასვამ კაცს წააწყდნენ. თემურს აზრად მოუვიდა მისი გაქურდვა. თავისი განზრახვა ამხანაგებს გაანდო. მათ მძინარე მოქალაქეს გულის ჯიბიდან ოცდახუთმანეთიანი ამოაცალეს. ამ ფულით შემდეგ დიდხანს ისეირნეს ტაქსით, ტკბილეულს შეექცნენ, თამბაქოც გააბოლეს და, კმაყოფილები, შინ გვიან ღამით დაბრუნდნენ.

ამ შემთხვევას დაწვრილებით განიხილავდნენ სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, მშობელთა კრებებზე, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის სხდომაზე და თითქმის ყველგან გამოითქვა აზრი, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს, რომ აქტივისტები ძალიან ცოტას ფიქრობენ ბავშვების გართობა-დასვენების ორგანიზაციაზე და ასე შემდეგ...

რასაკვირველია, ასეთი მსჯელობა თემურის მშობლებს არ გამორჩენიათ.

როგორი პოზიცია დაიკავეს მათ?

**მამა:** „გამათახსირა, გამათახსირა ამ საზიზღარმა, თავი აღარ გამომეყოფა ხალხში, — მაგრად ჩასცხო ხელი თემურს თავში. — ყველაფერი ეს მაგის ამხანაგების ბრალია; აბა, გაბედოს და ერთმა ამხანაგმა მაინც შემოაღოს ჩვენთან კარი! ბურთივით ვისვრი გარეთ!“

**დედა:** „მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩემი თემური ძალიან დაისაჯა. ის ცუდი ბიჭი არ არის, მაგრამ ახლა არდადეგების დროა. სკოლა

# თუ გახდომა გსურთ

შრომისმოყვარეობას და თავმდაბლობას; საჭიროა არა მარტო ჭკუის დარიგება, არამედ კარგი მაგალითის მიცემაც.

თემურის მშობლები არასოდეს არ გახსნიან თავიანთ ბინაში კლუბს სხვისი შვილებისათვის. დაე, ეს ვინმე „სხვამ“ გააკეთოს. მათ კი დასვენება ესაჭიროებათ, მით უმეტეს, რომ შეიძლება დაისვაროს სარკესავით კრიალა იატაკი, ლაქგადასმული ავეჯი დალაქავდეს და დაიჩხაპნოს. იმიტომ, რომ ბიჭები მაინც ბიჭები არიან, მათი საქმიანობის შემდეგ ნაკვალევი რჩება. ვინ შეუშვებს ასეთ აზარტულ, ონავარ ბიჭებს თავის ბინაში? ჯერ წესიერად მოქცევა ისწავლონ.

არადა, სად ისწავლონ ეს მოქცევა?

მე შეგნებულად არ ვასახელებ თემურის მშობლების ვინაობას. განა მხოლოდ თემურის მშობლები უბიძგებენ ბავშვებს ქუჩისაკენ? შემდეგ კი თვითონვე ჩივიან, რომ ქუჩა ცუდ გავლენას ახდენს ბავშვებზე.

მცდარია ის აზრი, თითქოს ბავშვი ქუჩისკენ უფრო მიისწრაფის, ვიდრე თავის სახლისაკენ. მაგრამ თუ მოზარდს სახლში აგრძნობინებენ, რომ იგი არ არის ოჯახის სრულუფლებიანი წევრი და არა აქვს უფლება მოიწვიოს სახლში სტუმრად მისი ამხანაგები, მათ კი უნდათ დაისვენონ კლუბების, კრებების და ყოველგვარი წრეების მუშაობისაგან, სადაც ყველაფერი გეგმიურია, ხელმოწერილია უფროსებისაგან და ხორციელდება იმათივე ზედამხედველობით, ბავშვი ქუჩაში მიდის.

როგორ უნდათ ბავშვებს ხანდახან მაინც იგრძნონ თავი ოჯახში უფლებიან მასპინძლად ან ამხანაგის სახლში ასევე სრულუფლებიან სტუმრად. ისაუბრონ გულიანად, წყნარ ოჯახურ გარემოში. დიდი მიამიტობა იქნება იფიქროს ვინმემ, რომ ასეთი შეგრძნება მარტო დიდებს. სრულასაკოვან ადამიანებს ჰქონდეთ. პირიქით, ამ განწყობას მოზრდილები უფრო მიესწრაფიან.

ზოგჯერ მშობლებისა და მასწავლებლებისაგანაც კი ასეთი საჩივრების მოსმენა გვიხდება: „მეექვსე კლასამდე მშვენიერი ბიჭი იყო, სწავლობდა კარგად, იყო დამჯერე და სხვებზე მეტად არ ცელქობდა, მაგრამ გადაეკიდა ქუჩის კამპანიას და გაფუჭდა“

მართლაც, ზოგჯერ ხდება ასეც. მაგრამ დავუფიქრდეთ, რას წარმოადგენს ეს „ქუჩის კამპანია“, ვისგან შედგება იგი? თურმე, ნუ იტყვით. ისინი ჩვენი ბავშვებია. ჩვენი მეზობლები, რომლებსაც ჩვენ სახელებითაც კი ვიცნობთ, ესენი ის მოზარდებია, რომლებიც მეექვსე კლასამდე ჩვეულებრივი ცელქი ბავშვები იყვნენ, შემდეგ კი, ოჯახსა და მშობლებზე გულაყრილები, გარეთ, ქუჩაში გავიდნენ და იქ იპოვეს თავისთვის საქმე.

ბევრი მშობელი ვერ ეგუება იმ აზრს, რომ მოზარდი ესწრაფვის თანატოლებთან ურთიერთობას, რომ მარტო ოჯახური წრე მისთვის საკმარისი არ არის და მისი ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია ამხანაგები. იქნებ, მან ყოველთვის ვერ შესძლოს შეარჩიოს თავისთვის ღირსეული მეგობარი, მაგრამ მაინც არ სურს, რომ „ზემოდან“, მშობლებმა შეურჩიონ. ამიტომ ყველა ამ საკითხის დადებითად გადასაწყვეტად მშობლებს ევალებათ გამოავლინონ დიდი ტაქტი, შეგნება და ნამდვილი ადამიანობა.

ბევრ მშობელს არ სურს დაანგრიოს ბარიერი, რომელიც ყოფს მათ შვილებს სხვისი შვილებისაგან და, თავიანთი შვილების მიმართ ყურადღებიანი, მომთხოვნი, მათი ბედით გულწრფელად დაინტერესებულნი, სხვისი შვილებისადმი სრულიად გულგრილნი რჩებიან.

არა, ჩვენ არ უნდა გავყოთ ბავშვები ორ ნაწილად — „ჩემი“ და „სხვისი“. მთელი ჩვენი წყობა, ჩვენი ცხოვრება. და ბოლოს თვით ბავშვებიც კი, გადაჭრით წინააღმდეგია ასეთი დაყოფის.

თუ გვსურს აღვზარდოთ ღირსეული მომავალი თაობა, საზოგადოება არ უნდა წარმოვადგინოთ რაღაც ბავშვების დამსაქმებელ ოფიციალურ წრედ, არამედ უნდა ვიცოდეთ და ვგრძნობდეთ, რომ საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, ეს ჩვენა ვართ, ყველა დედა და მამა, ოჯახები, სადაც იზრდებიან ჩვენი ბავშვები, სადაც ისინი სწავლობენ ცხოვრებას და ითვისებენ ყველაფერს, კარგს თუ ცუდს.

**თამარ კვარაცხელია,**

**საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეებზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.**



ნორმალური წონის ადამიანისათვის წონის მომატება, რა თქმა უნდა, არასასიამოვნო ფაქტია. ჭარბი სიმსუქნე მთელ რიგ პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს: ირღვევა სისხლის მიმოქცევა, ნივთიერებათა ცვლა. ორგანიზმი გაცილებით დიდ ენერგიას ხარჯავს, ადამიანი კარგავს შრომისუნარიანობას, გამძლეობას, მოქნილობას, ირღვევა მოძრაობის კოორდინაცია და სხვა.

რა გულისტკივილით ვუყურებთ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ორმაგი ღაბაბი და კარგა მოზრდილი მუცელი აქვს!



ИНДЕКС 76178

